შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო   უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო   ნაშრომი

აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები

სტუდენტი: ლევან აღნიაშვილი

ხელმძღვანელი: პროფესორი გელა ალადაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია.. 3
Abstract.. 4
შესავალი 5
თავი I. ვაჭრობის მნიშვნელობა საერთშორისო ურთიერთობებში................................. 7
და აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების დახასიათება... 7
1.1. ვაჭრობის მნიშვნელობა საერთშორისო ურთიერთობებში.. 7
1.2. აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების დახასიათება 12
თავი II. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო 24
ურთიერთობები და აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების... 24
პერსპექტივები... 24
2.1. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო 24
ურთიერთობები 24
2.2. საქართველოსა და აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები 31
დასკვნა 55
გამოყენებული ლიტერატურა 58

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია თემაზე: აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები. ნაშრომი მოიცავს შესავალს, ორ თავს, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას.

ნაშრომის პირველ თავში საერთაშორისო ურთიერთობებში ვაჭრობის მნიშვნელობის განხილვისას შევისწავლეთ, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ვაჭრობას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით ვაჭრობა და ომი საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ნაწილებია.

ამავე თავში აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების დახასიათებისას დავადგინეთ, რომ ამერიკამ ლიდერის როლის შესრულებით და ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესის სათავეში ჩადგომით მნიშვნელოვნი წვლილი შეიტანა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (GATT) შექმნაში, რომელიც სატარიფო და სავაჭრო წესების საერთაშორისო კრებულია.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების განხილვისას შევისწავლეთ, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მათ შორის აშშ-სთან.

დავადგინეთ, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2017 წელს აშშ-ის მიერ საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა 121.627 მილიონი დოლარი იყო, ხოლო იმპორტის მოცულობა - 267.746 მილიონი დოლარი, რაც საქართველოს აშშ-სთან კარგი სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივების მაჩვენებელია.

Abstract

The topic of this Master’s thesis is: the opportunities for developing trade relations with the US. The thesis includes the Introduction, two Chapters, the Conclusion and the List of References.

In the first chapter of the thesis, while studying the importance of trade in international relations, we learned that, under contemporary conditions, trade is so important in the relationship between different countries of the world, that some scientist recon that trade and war are the two key components of international relations.

In the same chapter, while describing the US trade relations, we have established that the US, by playing the role of a leader and initiating the process of trade liberalization, has contributed to the introduction of the General Agreement on Tariffs and Trade (GATT), which is a set of rules for international tariffs and trade.

In the second chapter of the Master's thesis, while considering the trade relations of Georgia with other countries, we learned that, in the modern era of globalization, establishing free trade relations with foreign countries, including the US is one of the main priorities of the economic policy of Georgia.

We found that according to the data of the Department of Statistics of Georgia, in 2017, the volume of export from Georgia to the US amounted to USD 127.627 million, and the volume of import – to USD 267.746 million, which is the indicator of good trade relations of Georgia with the US.

შესავალი

თემის აქტუალობა. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია თემაზე: აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, ორ თავს, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას. ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობების შესწავლის აუცილებლობა.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია საქართველოსთვის. ჯერ ერთი, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ასოცირების შეთანხმების გაფორმებით, მეორე, საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების რატიფიცირებით ქართულ ეკონომიკაში ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2017 წლის პირველ სექტემბერს ისლანდიასა და ნორვეგიასთან დადებულ შეთანხმებას და შვეიცარიასა და ლიხტენშტეინთან რატიფიცირებულ შეთანხმებას. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება რატიფიცირებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთანაც, რომლიც ძალაში შევიდა გასული წლის დასაწყისში. ჰონგ-კონგთანაც თავისუფალი ვაჭრობის

შეთანხმებაზე დასრულდა მოლაპარაკებები და ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. ასევე, მომზადდა და დაიწყება ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებები. მიმდინარეობს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების განვითარების კუთხით მუშაობა პრიორიტეტულ ქვეყნებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან რაც ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს გაზრდის, ხოლო საექსპორტო ბაზრები დივერსიფიცირებული გახდება. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით მიღებული შესაძლებლობის ეფექტიანი და სწრაფი გამოყენება არის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი, რაც ქვეყნის ბიზნესს დაეხმარება ახალი ბაზრების ათვისებაში, გაგრძელდება უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვა და ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებსა და ბიზნესგაერთიანებებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებას და თანამშრომლობის განვითარებას შეეწყობა ხელი.

კვლევის მიზანია შევისწავლოთ აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ამოცანად დასახული იქნა შემდეგი საკითხების შეწავლა:

- ვაჭრობის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში;
- აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების დახასიათება;
- საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობები;
- საქართველოს აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები.

კვლევის ობიექტი. კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე კვლევის ობიექტია აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კვლევისას გამოვიყენეთ დიალექტიკის, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, აბსტრაქციის და სხვა მეთოდები.

სიახლე: ახლებურად იქნა შესწავლილი აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები.

კვლევის შედეგები გადმოცემულია სამაგისტრო ნაშრომის დასკვნაში.

თავი I. ვაჭრობის მნიშვნელობა საერთშორისო ურთიერთობებში და აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების დახასიათება

ვაჭრობის მნიშვნელობა საერთშორისო ურთიერთობებში

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ვაჭრობას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით ვაჭრობა და ომი საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ნაწილებია.

ეს მოსაზრება სიმართლეს შეეფერება, მით უმეტეს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მჭიდრო საქმიან კავშირებს ქმნის ქვეყნებს შორის რითაც საერთაშორისო პოლიტიკაზე უდიდეს გავლენას ახდენს და ამავე დროს მშვიდობის ფაქტორიცაა. თავის მხრივ, ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულ პირობებში საერთაშორისო ვაჭრობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

მისაღებია იმ მეცნიერების მოსაზრება, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საწინდარია. ცნობილი ეკონომისტების აზრით, თავისუფალ ვაჭრობას სარგებელი მოაქვს სხვა

ქვეყნების ხალხისთვისაც, ვინაიდან ვაჭრობა ქვეყნებს აძლევს იმის საშუალებას, რომ ყურადღება მიაქციონ იმ საქონლის წარმოებას და იმ მომსახურების გაწევას, რომელიც უზრუნველყოფს ამ ქვეყნების მაქსიმალურ მოგებას. მომგებიანობის გაზრდასთან ერთად ვაჭრობა ცალკეულ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებასა და ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის ზრდას, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობებში კანონიერების დამყარებას და მშვიდობის უზრუნველყოფას უწყობს ხელს.

ვაჭრობის ღია სისტემის განვითარების მიზნით, ქვეყნებმა სხვა ქვეყნებს ბაზრებზე შესაღწევად უნდა შეუქმნან ხელსაყრელი პირობები, რის გამოც მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით უნდა შეამცირონ სავაჭრო ბარიერები. ბოლო დრომდე, ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიზნით ტრადიციულად ყურადღება ეთმობოდა ტარიფებისა და გარკვეული არასატარიფო ბარიერების შემცირებას, მაგრამ თანამედროვე პირობებში ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად ახალი საშუალებები გაჩნდა, რომლის მთავარი მოთხოვნაა, რომ ყველა უნდა იცავდეს წესებს, ყველას უნდა ჰქონდეს კონკურენციაში მონაწილეობის თანაბარი შანსები, ყველა ქვეყნის სავაჭრო პრაქტიკა და სავაჭრო კანონმდებლობა უნდა იყოს გამჭვირვალე.

თანამედროვე პირობებში ლიბერალების აზრით, საერთაშორისო ვაჭრობა მშვიდობის გარანტიაა და მით უფრო უსაფრთხო და სტაბილურია მსოფლიო, რაც მეტი ქვეყანაა ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში. სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე დგანან ნაციონალისტური თეორიის მომხრები, რომლებიც არ თვლიან, რომ დღევანდელმა გლობალურმა ეკონომიკამ შექმნა ნიადაგი ეკონომიკური კონფლიქტებისათვის, რითაც დამოკიდებულების ახალი ფორმები დაამკვიდრა.

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ თანამედროვე მსოფლიოს მაღალგანვითარებული სახელმწიფოები თავიანთი არსებობის პერიოდებში მკვეთრად უხვევდნენ ეკონომიკური პროტექციონიზმისკენ. ამის დამადასტურებელი მაგალითია ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე

ჰამილტონის მიერ აშშ-ის სამრეწველო განვითარების უზრუნველსაყოფად პროტექციონისტული ტარიფის შემოღების მოთხოვნები, რომლის დიდი ნაწილი უმეტესად სრულდებოდა.

საინტერესოდ მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლიბერალებს და ნაციონალისტებს მისაღებად მიაჩნიათ საწყის ეტაპზე წარმოების დაცვის აუცილებლობა, მაგრამ ისინი ვერ თანხმდებიან იმ საკითხში თუ რა არის ამ დაცვის, მიზანი. ნაციონალისტებისთვის პროტექციონიზმი საბოლოო მიზანია, ლიბერალებისთვის კი - პროტექციონიზმი დროებითი ეტაპია. ლიბერალების აზრით, ქვეყნებს არ უნდა ეშინოდეთ თავისუფალი ვაჭრობის, ვინაიდან ყველა ეკონომიკას აქვს რაღაცა დოზით შეფარდებითი უპირატესობა.[1]

საინტერესოა ის გარემოება, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესში ამერიკამ იკისრა ლიდერის ფუნქცია, რაც განპირობებული იყო ჯერ ერთი, მისი სურვილით შეესრულებინა მსოფლიო ჰეგემონის როლი, მეორე, მისი ეკონომიკური სიძლიერით და, მესამე, აშშ-ში მიხვდნენ, რომ სხვა ქვეყნების ეკონომიკის აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა საკუთარი ქვეყანის სტაბილურობის და მოკავშირეების შენარჩუნება. მათთვისაც ამერიკის დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შემდგომი ზრდის მისაღწევად ესაჭიროებოდათ საექსპორტო განსაკუთრებით კი აშშ-ის უდიდესი ბაზარი.

როგორც აღვნიშნე, ამერიკამ ლიდერის როლის შესრულებით და ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესის სათავეში ჩადგომით მნიშვნელოვნი წვლილი შეიტანა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების (GATT) შექმნაში, რომელიც სატარიფო და სავაჭრო წესების საერთაშორისო კრებულია და რომელსაც 1947 წელს მოაწერეს ხელი.

---

[1] ნინო ჟვანია, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბ., 2010. www.nplg.gov.ge/.../library.exe (22.05.2019)

აშშ ლიდერობდა, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნებს შორის ყოველ მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებაში და რამდენიმე მათგანში სპონსოროს როლშიც კი გამოდიოდა. ხოლო რაც შეეხება ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის საკითხს, მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ურუგვაიში გაიმართა მოლაპარაკებების რაუნდი, რომელზეც ქვეყნები ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის შესახებ საბოლოოდ შეთანხმდნენ და დასახეს სამოქმედო გეგმები.

სავაჭრო წესების საერთაშორისო კრებული, ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების GATT-ის შექმნის მიზანი იყო მოლაპარაკებების წარმოებაში ტარიფების მოწესრიგებითა და შემცირებით წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელშეწყობა, თავისუფალი ვაჭრობის გაფართოება და გააქტიურება, აგრეთვე დავების მოგვარების მექანიზმის შემუშავება. მისი შტაბბინა განთავსდა ჟენევაში, ხოლო მოლაპარაკებებს რაუნდები ეწოდა.[2]

ტარიფების შემცირებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების მოხსნით თავისუფალი და უფრო სამართლიანი ვაჭრობისათვის მიღწევის მიზნით ჩამოაყალიბეს სამი პრინციპი: პირველი, არადისკრიმინაცია, რაც თანაბარ პირობებში საქმიანობას გულისხმობდა; მეორე, წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირებით ვაჭრობის გაქტიურება; მესამე, GATT-ის ყველა წევრს შორის უპირობო თანამშრომლობა. აღნიშნული პრინციპების დაცვით სავაჭრო პოლიტიკის წარმოებისათვის უნდა შექმნილიყო უნივერსალური კანონები და მსოფლიო სავაჭრო რეჟიმი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოების უმეტესობამ არ სცნეს GATT-ის პრინციპები და წევრი სახელმწიფოებმა სრულყოფილად არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები, მაინც GATT-მა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების გამო GATT-ის პრინციპების დარღვევის მიუხედავად

[2] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015.

GATT-ის ფარგლებში ჩატარებული წარმატებული რაუნდებით შემცირდა ტარიფები და გაიზარდა მსოფლიო ვაჭრობა.[3]

სახელმწიფო ეკონომიკების საერთაშორისო ვაჭრობის ურთიერთდამოკიდებულების სისტემის ქსელში მოხვედრის გამო ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის ერას ეროვნული ეკონომიკისთვის დადებითზე მეტად უარყოფითის მოტანა შეუძლია. აღნიშნული მოსაზრების ჩამოყლიბებამ შეცვალა ლიბერალიზაციისა და ეკონომიკური ნაციონალიზმის მომხრეთა შორის ბალანსი, რამაც გამოიწვია ეკონომიკური პროტექციონიზმისაკენ დაბრუნება ანუ მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესის შეჩერება.

შეიძლება ითქვას, რომ GATT-ი იყო წესების კრებული ინსტიტუციური ფუნდამენტის გარეშე, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსება. თანამედროვე პირობებში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მუდმივი ორგანიზაციაა, რომლის კანონები არეგულირებს არა მხოლოდ საქონელთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, როგორც ეს GATT-ის დროს იყო, არამედ აგრეთვე მომსახურების სფეროს და ინტელექტუალური ქონების სავაჭრო ასპექტებს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია GATT-ისაგან იმითაც განსხვავდება, რომ უფრო ეფექტური და სწრაფი მექანიზმებით აგვარებს დავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ GATT-ის მრავალმხრივობის პრინციპი შეიცვალა ორმხრივობის პრინციპით, რის გამოც ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრისას ქვეყნები უფრო მეტად პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ (World Trade Organisation), რომელიც 1995 წელს დაარსდა, ფაქტობრივად შეცვალა GATT-ი და მისი შტაბბინაც ჟენევაში განთავსდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მმართველი ორგანო მინისტრთა კონფერენციაა. მინისტრთა კონფერენცია იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ.

[3] ნინო ჟვანია, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბ., 2010. www.nplg.gov.ge/.../library.exe? (25.04.2019)

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს გენერალური საბჭო, რომლის სავაჭრო პოლიტიკის სამართლებრივ ბაზას ქმნის ურუგვაის რაუნდის საერთაშორისო ვაჭრობის 30 შეთანხმება, რომელშიც GATT-ის პრინციპებს დაემატა შემდეგი პრინციპები: პირველი, კონკურენციის ხელშეწყობა; მეორე, განსაკუთრებული დახმარების აღმოჩენა განვითარებადი ქვეყნებისთვის.

ჩამოყალიბდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზნები: პირველი, ვაჭრობის ხელშეწყობა, მეორე, მოლაპარაკებით თანდათანობითი ლიბერალიზაციის მიღწევა, მესამე, დავების სამართლიანი გადაწყვეტის მექანიზმის დანერგვა და მეოთხე, პროტექციონიზმთან ბრძოლა.[4]

შეიძლება დასაბუთებული დასკვნის გაკეთება რომ ოცდამეერთე საუკუნეში თითქმის ყველა ქვეყანააჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში და ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი ქვეყნის მოსახლეობა. ამიტომ ყველა ქვეყანას სჭირდება გარკვეული პროდუქციის როგორც იმპორტირება ისე ექსპორტი და მით უფრო დიდი ნაწილი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში რაც უფრო დიდია ქვეყანა.

1.2. აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების დახასიათება

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ შეერთებული შტატები, თანამედროვე პირობებში, კერძოდ კი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობისას, ცდილობს სავაჭრო ურთიერთობები მოაწესრიგოს არა მარტო თავის მოკავშირე ევროპასა და იაპონიასთან, არამედ ჩინეთთანაც.

დიდი ხნის განმავლობაში, შეღავათიანი ტარიფების გამო, ამერიკის ბაზარი მათთვის აბსოლუტურად გახსნილი იყო, მოპირდაპირე მხარეს კი სრულიად საპირისპირო მდგომარეობას ჰქონდა ადგილი, ამერიკულ საქონელს ამ ქვეყნების

[4] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015.

ბაზრებზე შესაღწევად ბევრი ბარიერი ხვდებოდა, რის გამოსწორებასაც ცდილობს ტრამპი და თან საკმაოდ წარმატებით.[5]

ამერიკის პრეზიდენტი იაპონიის პრემიერ–მინისტრ შინზო აბეს ცხრაჯერ შეხვდა, ტელეფონით კი ათეულობით საუბარი ჰქონდათ, სამჯერ გოლფი ითამაშეს, არაერთხელ ერთად ისადილეს და ბოლო სატელეფონო საუბრისას აშშ-ჩრდილოეთ კორეის სამიტზე ერთმანეთთან შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

კვლევისას დავადგინეთ, რომ ტრამპმა უარი თქვა აბეს ინიციატივით ჩინეთის საპირწონედ შექმნილ ტრანს-წყნარი ოკეანის თანამშრომლობაში მონაწილეობაზე, ვინაიდან ისიც ცნობილი გახდა, რომ აბემ ამერიკა გამოიყვანა იაპონიის მიერ მხარის დამჭერი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პარიზის შეთანხმებიდან. ამავე დროს ცნობილია, რომ ამერიკის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას ცდილობს ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინთან. ამ უკანასკნელთან დაძაბული ურთიერთობა აქვს იაპონიის პრემიერ–მინისტრ შინზო აბეს.

კეიოს უნივერსიტეტის პროფესორ ტოშიჰირო ნაკაიამას აზრით, იაპონიის პრემიერ–მინისტრ შინზო აბემ გარკვეულწილად შეძლო ტრამპის გონებაში შეღწევა, მაგრამ სავაჭრო საქმიანობის სფეროში წარმატებას ვერ მიაღწია, ამერიკის პრეზიდენტთან, კარგი პირადი ურთიერთობის მიუხედავად, რომლისგანაც უფრო მეტს ელოდნენ იაპონიის პრემიერ მინისტრი და მისი გუნდი, რაც მხოლოდ სურვილად დარჩა და რეალობაში არ გადაიზარდა. კეიოს უნივერსიტეტის პროფესორ ტოშიჰირო ნაკაიამა იხსენებს საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს, რომელსაც ტრამპთან აბეს მსგავსად, კარგი ურთიერთობა ჰქონდა თუმცა ამის მიუხედავად, მათ რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დაიკავეს ირანის საკითხთან დაკავშირებით.[6]

---

[5] აშშ სავაჭრო ურთიერთობები იაპონიასთან, ანალიტიკა, 30 მაისი, 2018.

[6] ნათია ღვინჯილია, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, ჟურნალი ტაბულა, სამშაბათი, 14 თებერვალი, თბ., 2012.

შევისწავლეთ ავტომობილების დაბეგვრის საკითხები, რის შესახებაც ტრამპის ადმინისტრაციამ ეროვნულ უსაფრთხოებას ავტომობილების იმპორტის საკითხის გამოძიება სთხოვა, რის გამოც როგორც იმპორტირებულ ფოლადზე და ალუმინზე მოხდა შესაძლოა ავტომობილების იმპორტზეც ტარიფების მკვეთრი ზრდა მოჰყვეს. ექსპერტთა მრავალ შეკითხვას ბადებს ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ იაპონური კომპანიები ავტომობილებს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც აწარმოებენ, მაინც იაპონიიდან აშშ-ში ექსპორტის დაახლოებით 30% ავტომობილებზე მოდის.

ამერიკის პრეზიდენტმა ტრამპმა და იაპონიის პრემიერ–მინისტრმა შინზო აბემ მოილაპარაკეს „თავისუფალი, სამართლიანი და ურთიერთმომგებიანი“ სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის ჩარჩო ხელშეკრულებას გაფორმების შესახებ. ამერიკის მხრიდან მოლაპარაკებას სავაჭრო დეპარტამენტის წარმომადგენელი რობერტ ლაითიცერი წაუძღვა, იაპონურ დელეგაციას კი ეკონომიკის მინისტრმა ტოშიმიცუ მოტეგიმ უხელმძღვანელა.

ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ერთმნიშვნელოვნად გამოხატა თანხმობა იაპონიასთან ურთიერთმომგებიანი სავაჭრო ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, რაც იაპონიასთან ვაჭრობაში ამერიკას დაახლოებით 5.64 მილიარდი დოლარის დეფიციტს შეუმცირებს. იაპონიის პრემიერ–მინისტრ შინზო აბეს აზრით კი მრავალმხრივი პაქტებია საუკეთესო გამოსავალი.

იმის გამო, რომ სასოფლო სფეროს ლობი იაპონიის პრემიერ–მინისტრ შინზო აბეს მმართველი პარტიის ძირითადი მხარდამჭერი ბაზაა და მას იაპონიის სასოფლო სექტორის იმპორტისთვის გახსნა არ სურს, ამიტომ ის ორმხრივ გარიგებას გაურბის და მრავალმხრივ თავისუფალ ვაჭრობას უჭერს მხარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) უკვე განაცხადა, რომ საპასუხო რეაქციის უფლებას იტოვებს, იმ შემთხვევისთვის, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ფოლადსა და ალუმინზე ფასებს გააძვირებს, რადგან ეს თავის მხრივ შესაბამისი იაპონური საქონლის ჯამში 440 მილიონი დოლარით გაძვირებას გამოიწვევს.

სტატისტიკური მონცემების მიხედვით, 2016 წელს ამერიკის ეკონომიკაში იაპონურმა კომპანიებმა 421 მილიარდი დოლარის ინვესტიციის განხორციელებით ამერიკის შეერთებულ შტატებს 850 000 ახალი სამუშაო ადგილი შეუქმნეს.

სავარაუდოდ, მოსალოდნელია, რომ იაპონიაში ენერგორესურსების იმპორტის გაზრდა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო დისბალანსის შემცირებას შეუწყობს ხელს. იაპონიამ მერილენდის საექსპორტო ქარხნიდან გათხევადებული ბუნებრივი გაზის რესურსის ამერიკიდან იმპორტით ორ ქვეყანას შორის ბალანსის გათანაბრებას შეუწყო ხელი.[7]

როგორც ჩანს, იაპონია მზარდი ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში სათანადოდ აღრმავებს და აფართოებს ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებს. როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნე მეოცე საუკუნეში ვაჭრობაზე დაფუძნებული იაპონიის ეკონომიკური წარმატება განაპირობა ტარიფებისა და ვაჭრობის მთავარი შეთანხმების (GATT) ამოქმედებამ და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (WTO) წარმოებული და მოლაპარაკებების შედეგად ვაჭრობის მრავალმხრივმა ლიბერალიზაციამ. მაგრამ როგორც პირველ პარაგრაფში ვახსენე აღნიშნული წარმატება გადასაჭრელი საკითხების მრავალფეროვნების და წევრებს შორის არსებული განსხვავებული ან ხშირად საწინააღმდეგო ინტერესების გამო განიცდიდა სტაგნაციას.

იაპონიაში შიდა საკითხების მოლაპარაკებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (FTA) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გლობალურ შეთანხმებათა არარსებობამ მისცა მიმართულება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მაინც მოხდა იაპონიის გაკოტრება მიუხედავად იმისა, რომ იაპონია გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში (IMF) და ხელი მოაწერა ტარიფებისა და ვაჭრობის მთავარ შეთანხმებას (GATT). გაკოტრებამ გამოიწვია უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობების ხანგრძლივი დეფიციტი. მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის და

[7] აშშ სავაჭრო ურთიერთობები იაპონიასთან, ანალიტიკა, 30 მაისი, 2018.

მზარდი საშინაო სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად და კიდევ იმის გამო, რომ იაპონიის ვაჭრობა გადამამუშავებელი საწარმოების, ნედლეულის იმპორტისა და მზა პროდუქტის ექსპორტის ვერტიკალურ მოდელს დაეფუძნა გაიზარდა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები,.

უცხოურ ვალუტაზე ყველანაირი შეზღუდვების მოხსნამ გამოიწვია მოდერნიზაციის შემდგომი ზრდა და წაახალისება, რის შედეგადაც იაპონიის სავაჭრო ბალანსი პროფიციტული გახდა, მაგრამ ნავთობის კრიზისის გამო, იაპონიის ვაჭრობა სწრაფად გადავიდა წარმოებული საქონლის იმპორტის და ექსპორტის ჰორიზონტალურ მოდელზე და XXI საუკუნის დასაწყისიდან გადატვირთული ამერიკული და სიცოცხლისუნარიანი ჩინური ეკონომიკის ფონზე ექსპორტ-იმპორტი მნიშვნელოვნად განვითარდა. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი - როგორიცაა ფაქსიმილეს აპარატები, ჩარხები, სამომხმარებლო ელექტრო ტექნიკა, ნახევრადგამტარები, კომპიუტერები, ავტომანქანები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები. მაგრამ იაპონური კომპანიების მიერ საზღვარგარეთ საწარმოების გახსნამ მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტის ზრდის ტემპები. ამიტომ საავტომობილო მწარმოებლებმა და სხვა კომპანიებმა დაიწყეს ქარხნების აშენება აშშ-სა და ევროპაში.

მას შემდეგ, რაც 2001 წელს იაპონია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა გაიზარდა აშშ-სა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობები განსაკუთრებით გაიზარდა კომპიუტერებისა და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქციის იმპორტი, ხოლო ზოგიერთი სამომხმარებლო ელექტრო პროდუქტის, როგორიცაა ტელევიზორი, იმპორტირებული მოდელების გაყიდვებმა ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის გაყიდვებს გადააჭარბა.

იაპონიასთან სავაჭრო ურთიერთობის მქონე მრავალი ქვეყნის ბაზრის დიდი წილი უჭირავს დამატებითი ღირებულების საქონლის სახით ექსპორტს, იმის მიუხედავად, რომ იაპონიის იმპორტის დიდი წილი საწვავის, საკვები პროდუქტებისა და საწარმოო ნედლეულის იმპორტზე მოდის, რაც ხშირად იწვევს სავაჭრო

უთანხმოებას და რომელიც განმეორებად სახეს იღებს. ასე, მაგალითად, როდესაც აშშ-სა და იაპონიას შორის უთანხმოება ეხებოდა მზარდი იაპონური ექსპორტის კონტროლს, ქვეყნის პროდუქციის სხვა ქვეყანაში შიდა ფასზე ნაკლებად ანუ დემპინგის ფასით გაყიდვის ბრალდებით, აშშ-ს უკმაყოფილებამ იაპონია აიძულა ამერიკისგან თავსმოხვეული შეზღუდვები დაეწესებინა ავტომანქანებზე, ფერად ტელევიზორებზე, შალისა და სინთეტიკის ნაწარმზე, ბამბის ნაწარმზე, ფოლადზე. აშშ-მ მიაღწია იაპონიის თანხმობას შეემცირებინა ფოლადის ექსპორტი ევროპაში. მეორეს მხრივ, კონკრეტულად აშშ-სთან სავაჭრო უთანხმოება გულისხმობდა უცხოური კომპანიებისთვის იაპონიაში ექსპორტის გაზრდის მცდელობას იაპონურ ბაზარზე უფრო მეტი წვდომის მოსაპოვებლად და არასატარიფო ბარიერის აღმოსაფხვრელად.

იაპონიის მთავრობამ ტარიფების ცალმხრივი შემცირებით, იმპორტის შეზღუდვების გაუქმებით, სტანდარტების სასერტიფიკაციო სისტემის რეფორმით და იმპორტის ხელშეწყობის კამპანიით შეიმუშავა იმპორტის ლიბერალიზაციის პოლიტიკა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის იმპორტის ლიბერალიზაცია გულისხმობდა საქონლის ხორცის, ციტრუსის და სხვა საკვები პროდუქციის იმპორტზე შეზღუდვების გაუქმებას ან შემცირებას. ამერიკის შეერთებულ შტატებს არ მოეწონა ბაზრის გახსნის ტემპი და საავტომობილო ნაწილების ავტომანქანების და ნახევრადგამტარებისთვის მოითხოვა ბაზრის განსაზღვრული წილი, რამაც გამოიწვია იაპონიის წინააღმდეგობა, რის შედეგადაც სავაჭრო უთანხმოების საკითხების მოგვარებამ გადაინაცვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და მოლაპარაკებებში მრავალი ქვეყანა ჩაერთო.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-იაპონიის მარეგულირებელი რეფორმის ფარგლებში კვლავ განიხილებოდა ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური საკითხები. აღსანიშნავია, რომ 1981 წელს იაპონიასა და აშშ-ს შორის იაპონიაში ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეფიციტმა აშშ-ს საერთო დეფიციტის 70.8 % შეადგინა, რომლის შემცირება 1992 წელს დაიწყო და 2007 წელს 10.5%-ით განისაზღვრა. სადავო

საკითხების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მეურვეობის ქვეშ მოგვარებამ შეამცირა აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი და გააძლიერა საინვესტიციო ურთიერთობები იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის, რამაც ეკონომიკურ ურთიერთობებში იაპონიისა და შეერთებულ შტატების უთანხმოება ჰარმონიულმა ურთიერთობებმა და კონსტრუქციულმა დიალოგმა შეცვალა.

რაც შეეხება ინვესტიციებს სავაჭრო უთანხმოების გამო უცხოურ პროდუქციაზე გადასვლამ გამოიწვია იაპონური ბიზნესის სხვა ქვეყნებთან საექსპორტო ბიზნესში აქტიურად ჩართვა, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი გაზარდა. უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის გაზრდის მიზეზად ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის საავტომობილო ბაზრის შემთხვევაში იენის მაღალი კურსის გამო უცხოურ პროდუქციაზე გადასვლა იყო. იაპონიაში ჩადებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი წილი მოდიოდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაზე. უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა იაპონიის ფინანსთა სამინისტროსა და იაპონიის ბანკის საერთაშორისო საგადასახადო ბალანსის მონაცემებით, 2008 წელს შეადგინა 13.23 ტრილიონი იენი, რაც 52%-ით მეტი იყო 2007 წლის მონაცემებთან შედარებით. აღნიშნული ყველა დროის რეკორდულ მაჩვენებლად ითვლება.

იაპონიის ასეთი სავაჭრო პოლიტიკა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რომლის მიზანი ხელსაწყოების, აპარატურის, ტრანსპორტის და სხვა წარმოების დარგებში ინვესტიციების წახალისება იყო. თანამედროვე პირობებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, იაპონური ბიზნესების ნელი ტემპის მიუხედავად იაპონელები მრავალეროვანი საწარმოების შექმნით მიისწრაფვიან გლობალიზაციისკენ.[8]

სამაგისტრო ნაშრომის კვლევისას დავადგინეთ, რომ აშშ-მა პირველი დოკუმენტი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჯერ კიდევ 1985 წელს გააფორმა ისრაელთან, რის შედეგადაც აშშ ისრაელის მთავარ საექსპორტო ბაზრად გადაიქცა.

---

[8] ნათია ღვინჯილია, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, ჟურნალი ტაბულა, სამშაბათი, 14 თებერვალი, თბ., 2012.

უკვე 90-იანი წლების პირველ ნახევარში წარმოების ზრდამ წელიწადში საშუალოდ 7 პროცენტს, სამრეწველო ექსპორტის ზრდამ კი 9 პროცენტს მიაღწია ქვეყანაში ეკონომიკური ბუმი დაიწყო.

1994 წელს ძალაში შევიდა აშშ-ს, მექსიკასა და კანადას შორის NAFTA-ს შეთანხმება, რითაც უდიდეს თავისუფალ სავაჭრო ზონას ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში. სპეციალისტებისა და ექსპერტების შეფასებით, სამივე ქვეყანაში ბაზრების გახსნამ ეკონომიკისა და კეთილდღეობის ზრდა გამოიწვია. 1993 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში სავაჭრო ბრუნვა ქვეყნებს შორის გაიზარდა 218 პროცენტით. გავეცანით NAFTA-ს კომისიის შეფასებას, რომელშიც აღნიშნული, რომ ექსპორტის ზრდის ხარჯზე, დოკუმენტის ძალაში შესვლიდან პირველ ხუთ წელიწადში 14,8 მილიონი დამატებითი სამუშაო ადგილი შეიქმნა აშშ-ში, 2,2 მილიონი ადგილი - მექსიკაში, 1,3 მილიონი ადგილი –კანადაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მექსიკამ მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა შეძლო, რაც NAFTA-ს დამსახურებაა. აშშ-ის ბაზრის ხელმისაწვდომობის გამო, ბევრმა უცხოურმა კომპანიამ წარმოება ამ ქვეყანაში გადმოიტანა, რის შედეგადაც 1993-99 წლებში მექსიკაში გაორმაგდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

2001 წლიდან 2011 წლამდე ასევე ორმხრივი შეთანხმებები ამოქმედდა CAFTA-DR-ის ფარგლებში და სხვა ქვეყნებთან.

2007 წელს, აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს მოაწერა ხელი კონგრესმა FTA-ს რატიფიცირების დოკუმენტებს სამხრეთ კორეასთან, კოლუმბიასა და პანამასთან. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად დემოკრატებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მათ რატიფიცირებას, ვინაიდან ისინი შეაშფოთა ამერიკული კომპანიების შესაძლო ზარალმა, რომელიც შესაძლოა გამოეწვია კორეული ექსპორტის, ძირითადად, ავტომანქანების მოსალოდნელ ზრდას.

ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს ვაშინგტონმა მზადყოფნა გამოხატა ევროკავშირთან სავაჭრო ბარიერების მოხსნისა და ორმხრივი ვაჭრობის გააქტიურების საკითხზე. უსაფრთხოების საკითხებში, პრეზიდენტ ბარაკ ობამას

მრჩევლის მაიკლ ფრომანის წინადადებით დიალოგი რამდენიმე სცენარით წარიმართა, კერძოდ, აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სრულფასოვანი შეთანხმების გაფორმების მიმართულებით.

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ 1988 წელს ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ზონის შესახებ (NAFTA _ North American Free Trade Agreement) შეთანხმებით აშშ-სა და კანადას შორის გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთნხმება, რომელსაც მექსიკა 1992 შეუერთდა. შეთანხმებით მონაწილე სახელმწიფოებს ჩამოუყალიბდათ შემდეგი შინარსიის დებულებები: მათ საქონელზე საბაჟო გადასახადები გაუქმდა; აშშ-ში მექსიკიდან რეექსპორტის გზით შეღწეული საქონლისგან ბაზრის დაცვა; ამერიკული დ კანადური კომპანიებისათვის მექსიკაში საბანკო და სადაზღვევო სფეროში კაპიტალური დაბანდებებისა და კონკურენციის აკრძალვის მოხსნა; ერთიანი რეჟიმის დადგენა უცხოური ინვესტიციებისათვის; ზონაში თავისუფალი მოძრაობის პირობების შექმნა საქონლის, კაპიტალის და სამუშაო ძალისთვის; ღონისძიებების გატარება ინტელექტუალური საკუთრების დაცვისათვის; ტექნიკური და სანიტარული ნორმების უნიფიკაცია და სავალუტო ოპერაციების შესრულებასა და სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო საქონლის გარდა სხვა საქონელზე შეზღუდვების მოხსნა; დავების გადაწყვეტის სისტემის მოწესრიგება.

ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ზონის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აშშ-მ და კანადამ მექსიკის იმპორტზე შეამცირეს საბაჟო გადასახადები, გააუმჯობესეს საინვესტიციო გარემო, რითაც სავაჭრო ზონის ქვეყნების მიერ ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვეული წინსვლის მიღწევა შეძლეს. საყურადღებოა, რომ 2014 წელს ეროვნული ბაზრების შერწყმის შედეგად ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალ სავაჭრო ზონაში 378 მილიონი ადამიანი გაერთიანდა.[9]

---

[9] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015, გვ. 256.

როგორც ეს ნათქვამია ელისეის სასახლის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, 2018 წლის ივნისში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სატელეფონო საუბრისას განიხილეს სინგაპურში გამართული აშშ-ჩრდილოეთ კორეის სამიტი და სავაჭრო ურთიერთობები. საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ემანუელ მაკრონსა და დონალდ ტრამპს შორის სატელეფონო საუბარი მომდევნო თვის დასაწყისშიც შედგა, მას შემდეგ, რაც აშშ-მა ევროკავშირს ფოლადსა და ალუმინზე ტარიფები დაუწესა. CNN-ის ინფორმაციით, საფრანგეთის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპის სავაჭრო პოლიტიკა ღიად გააკრიტიკა.[10]

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ მიმდინარე წლის მაისის თვეში აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა, როგორც ეკონომიკის საკითხებში დონალდ ტრამპის ერთ-ერთმა წამყვანმა მრჩეველმა ლარი კუდლოუმა ტელეკომპანია Fox News-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ამერიკას და ჩინეთს შორის სავაჭრო მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. კერძოდ, ლარი კუდლოუმა განიხილა, ოფიციალური ვაშინგტონის ჩინეთთნ სავაჭრო პოლიტიკის საკითხები და აღნიშნა, რომ ამერიკის მთავრობამ პეკინს მოუწოდა კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შესახებ, თავის მხრივ, ჩინეთი თავს იკავებს ოფიციალური ვაშინგტონის მოთხოვნის შესრულებზე.

გასათვალისწინებელია ტრამპის მრჩეველის ლარი კუდლოუვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სავაჭრო ურთიერთობების გამწვავებით არცერთი მხარე არ დარჩება მოგებული. ტრამპის მრჩეველის აზრით შეზღუდვები ჩინურ

---

[10] ქეთი ჩოხელი, დონალდ ტრამპმა და ემანუელ მაკრონმა სატელეფონო საუბრისას სავაჭრო ურთიერთობები და აშშ-ჩრდილოეთ კორეის სამიტი განიხილეს, Fox News, თბ., 16.06.2018.

ეკონომიკაზე უფრო მწვავედ იმოქმედებს და ორი ქვეყნის სავაჭრო ომი სხვა სახელმწიფოებზეც მოახდენს გავლენას. გავეცანით უცხოელი ანალიტიკოსების მოსაზრებასაც. ისინი იმედოვნებენ, რომ 2019 წლის ივნისის თვეში იაპონიაში დაგეგმილია "დიდი ოცეულის" სამიტი და აღნიშნული სამიტის ფარგლებში დონალდ ტრამპი და ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი ოფიციალურად შეხვდებიან ერთმანეთს და სავაჭრო ურთიერთობების საკითხებზე ორი ქვეყნის ლიდერი გარკვეულ შეთანხმებას მიაღწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ მაისის თვის დასაწყისში ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიკური დაპირისპირების გამწვავება 200 მილიარდი დოლარის ღირებულების ჩინურ პროდუქციაზე იმპორტის გადასახადის გაორმაგების შესახებ თეთრი სახლის ლიდერის გადაწყვეტილებამ გამოიწვია.[11]

ჩინეთის სავაჭრო პოლიტიკისაგან განსხვავებით 2018 წლის დეკემბერში აშშ-მა, კანადამ და მექსიკამ ახალი სავაჭრო შეთანხმება გააფორმეს. ახალი სავაჭრო შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადასა და მექსიკას შორის დიდი ოცეულის სამიტის ფარგლებში გაფორმდა. ამერიკულ მედიაში სპეციალისტების მიერ გამოქვეყნებული მოსაზრებების მიხედვით, ახალი დოკუმენტი შეცვლის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკაში არსებულ შეთანხმებას. სამი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ ახალი დოკუმენტი ძალაში შევა.

მოგახსენებთ, რომ აშშ-ს, კანადას და მექსიკას შორის ახალი სავაჭრო შეთანხმების შესახებ დოკუმენტი პირველ დღეს დიდი ოცეულის სამიტის ფარგლებში მიღწეულ შეთანხმებებს შორის ყველაზე მასშტაბურია, ვინაიდან დოკუმენტი ვრცელდება 23 ტრილიონი დოლარის მთლიანი შიდა პროდუქტის მქონე 500 მილიონი ადამიანით დასახლებულ რეგიონზე. უნდა ღინიშნოს, რომ დიდი ოცეულის

---

[11] მიხეილ ხაჩიძე, აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა, Fox News, თბ., 13 მაისი, 2019.

სამიტი ბუენოს-აირესში გაიხსნა გასული წლის 30 ნოემბერს განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნების მეთაურებს არგენტინის პრეზიდენტმა, მაურისიო მაკრიმ უმასპინძლა. მსოფლიოს წამყვანი სახელწიფოების პირველ ლიდერებს შორის მრავალი შეხვედრა გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ დიდი ოცეულის სამიტის მთავარი თემები სავაჭრო ურთიერთობების საკითხებთან ერთად გენდერული თანასწორობა, მდგრადი განვითარება, კლიმატური ცვლილებები და ციფრული ეკონომიკა იყო, რომლის შედეგებიც ლიდერებმა შემაჯამებელი კომუნიკეს საშულებით გამოაქვეყნეს.[12]

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მას შემდეგ, რაც 2001 წელს იაპონია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა გაიზარდა აშშ-სა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობები განსაკუთრებით გაიზარდა კომპიუტერებისა და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქციის იმპორტი, ხოლო ზოგიერთი სამომხმარებლო ელექტრო პროდუქტის, როგორიცაა ტელევიზორი, იმპორტირებული მოდელების გაყიდვებმა ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის გაყიდვებს გადააჭარბა.

---

[12] გვანცა ფოცხვერია, აშშ-მა, კანადამ და მექსიკამ ახალი სავაჭრო შეთანხმება გააფორმეს, https://1tv.ge, თბ., 01.12.2018.

თავი II. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობები და აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები

2.1. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობები

სამაგისტრო ნაშრომის თემის დამუშავებისას შევისწავლეთ, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რომლის შესაძლებლობა ქვეყნას მიეცა, როდესაც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ასოცირების შეთანხმება გააფორმა. მნიშვნელოვანი შესაძლებლობები შეიქმნა ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის, ქვეყანაში პროდუქტიულობის და ექსპორტის ზრდის კუთხით საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების რატიფიცირებით.

2017 წლის პირველ სექტემბერს დაიდო შეთანხმება ისლანდიასა და ნორვეგიასთან და განხორციელდა შვეიცარიასა და ლიხტენშტეინთან შეთანხმების რატიფიცირება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე მნიშვნელოვანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის დასაწყისში. ასევე, დასრულდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებები და ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ჰონგ-კონგთან. ასევე, ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებებიც დაიწყო. საყურადღებოა ის

გარემოება, რომ ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების განვითარების კუთხით მუშაობა მიმდინარეობს ისეთ პრიორიტეტულ ქვეყანასთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ყოველივე აღნიშნული გაზრდის ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს, საექსპორტო ბაზრები კი გახდება დივერსიფიციური.

რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სავაჭრო ურთიერთობებს, ექსპერტების ვარაუდით რუსულ-ქართული სავაჭრო ბრუნვა 2018 წელს 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნული ვარაუდის საფუძველი ექსპერტებს იმ გარემოებამ მისცა, რომ რუსეთი გახდა ქართული ექსპორტისათვის ყველაზე დიდი ბაზარი 14.3%-ით 314 მილიონი დოლარი 2,203 მილიონი დოლარიდან, ხოლო აზერბაიჯანი მეორე ადგილს იკავებს 8.8%-ით.[13]

ქართული საექსპორტო ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში დომინირება უფრო დრამატულია. თუ გავაანალიზებთ საქსტატის მონაცემებს, აშკარად დავინახავთ, ქართული ღვინის წარმოების ინდუსტრია რუსულ ბაზარზე რამდენად სერიოზულადაა დამოკიდებული. მოვიძიეთ 2017 წლის პირველი ათი თვის მონაცემები. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ქართველმა მეწარმეებმა საექსპორტოდ გაიტანეს საერთო ღირებულებით 134.6 მილიონი დოლარის 61 მილიონი ბოთლი ღვინო, რუსული ბაზარი აღმოჩნდა როგორც ყველაზე დიდი მომხმარებელი, კერძოდ, 38.3 მილიონ ბოთლზე უფრო მეტით ანუ პროცენტულად 62.7% და ღირებულებით 84.6 მილიონი დოლარი. იგივე მაჩვენებლები უკრაინის მხრიდან შეადგენს სულ რაღაც 6.2 მილიონ ბოთლს ანუ 10.1%-ს, რის გამოც უკრაინამ დაიკავა მეორე ადგილი. თანამედროვე პირობებში რეგიონში რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის, განსაკუთრებით ქართული ტერიტორიების მცოცავი ოკუპაციის გამო ძალიან მცირე შესაძლებლობა არსებობს ორ ქვეყანას შორის ორმხრივი პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის, რაც ხელს არ უწყობს ორმხრივ მდგრად ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრომლობას.[14]

---

[13] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo (02.05.2019)

[14] http://reginfo.ge/economic/item/3540-saqartvelodan-gvinis-eqsporti-59-%E2%80%93it-gaizarda,-chachis-198-%E2%80%93it). (02.05.2019)

თანამედროვე პირობებში ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ღვინის საშუალო საკონტრაქტო ფასს, რომელიც ძალიან დაბალია და შეადგენს 2.2 დოლარს. ექსპერტების და სპეციალისტების ვარაუდით, რაოდენობრივი ზრდის ბუნებრივი ლიმიტების და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით ჯამში ექსპორტზე გაიგზავნება 73-75 მილიონი ბოთლი ღვინო. ამ ფაქტობრივი მდგომარეობის გამოსწორების საშუალებად მიგვაჩნია ის, რომ მსოფლიო ბაზარზე ქართულმა ღვინომ შეიცვალოს პოზიცია და უფრო მაღალი ფასით და უფრო მცირე რაოდენობით გადავიდეს უფრო მაღალი დონის სეგმენტში. ვფიქრობთ სამომავლოდ ამ ტენდენციის განხორციელების შედეგად ჩვენი ძირითადი ბაზარი ევროკავშირი, ჩინეთი, აშშ, იაპონია და სხვა ქვეყნები იქნება და არა რუსეთი. ამასთან ერთად, ქართულმა ღვინომ არ უნდა დათმოს უკვე დამკვიდრებული ადგილი მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე, იქნება ეს უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი თუ სხვა ქვეყანა, თუნდაც რუსეთის ბაზარიც. ვფიქრობთ, სიფრთხილის და თანმიმდევრულობის დაცვაა საჭირო ხარისხისა და ფასის ზრდის სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და განხორციელების დროს.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების შესაძლებლობას, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა 2012 წლის დასაწყისში, ვაშინგტონში საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას დაადასტურა. აღნიშნულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების მიზნით მაღალი დონის დიალოგს, კერძოდ საკითხებს შესაძლო თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შესახებ, თუმცა, შემდეგ პერიოდში საქართველოს წარმომადგენლები თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე აშშ-თან დიალოგის დაწყებას უარყოფდნენ.

პირველად აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის იდეა სააკაშვილი-ობამას შეხვედრის დროს არ გაჟღერებულა. ჯერ კიდევ 2009 წელს, დემოკრატი სენატორი ჯონ კერი და რესპუბლიკელი დევიდ დრაიერი აღნიშნავდნენ ორი ქვეყნის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების ინიციატივის

შესახებ და აცხადებდნენ, რომ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა აშშ-თან ვაჭრობის განვითარება, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA) ითვალისწინებს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნას, ინვესტიციებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ღონისძიებებს. თანამედროვე პირობებში აშშ-ს ასეთი რეჟიმი 20-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს მოწესრიგებული.

ბოლო პერიოდში აშშ თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებაზე მოლაპარაკებებს ტრანს-წყნარი ოკეანის და ტრანსატლანტიკურ სავაჭრო და საინვესტიციო შეთანხმებებზე აწარმოებს. თანამედროვე პირობებში აშშ-ს საქართველოსთან ვაჭრობის ცალმხრივად შეღავათიანი რეჟიმი აქვს GSP Generalized System of Preferences, რაც ნიშნავს პრეფერენციების განზოგადებული სისტემას და 3 ათასზე მეტი დასახელების ქართულ საექსპორტო პროდუქციაზე ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებისაგან განსხვავებით, GSP რეჟიმი მუდმივმოქმედი არ არის და პერიოდულად გადახედვას ექვემდებარება. როგორც აღვნიშნეთ, თავისუფალ ვაჭრობის უპირატესობა იმით გამოიხატება, რომ ეს რეჟიმი მუდმივმოქმედია და თითქმის ყველა დასახელების საქონელს შეეხება, ამასთან, რაც ინვესტორების სტაბილურობის გარანტიას უზრუნველყოფს.

2012 წლიდან რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგების საკითხი ახალი ხელისუფლების ყურადღების არეალში მოექცა. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის 1 ნოემბერს განაცხადა, რომ თბილისი მოსკოვთან ურთიერთობების ახალ ფორმატზე გადავიდა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალურ წარმომადგენლად ზურაბ აბაშიძე დაინიშნა, რომლის პირველი დავალება სწორედ რუსეთში ქართული პროდუქციის ექსპორტის აღდგენა იყო. 2013 წლის ოქტომბრიდან რუსეთის ფედერაციაში ქართული ხილ-ბოსტნეულის ექსპორტზე შეზღუდვები მოიხსნა. როგორც აღვნიშნეთ, WTO-ს წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის MFN საფუძველზე ხორციელდება, ამიტომ იმის გამო, რომ საქართველო აშშ-თან და რუსეთთან ერთად

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრია შესაბამისად, მათზე ვრცელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოთხოვნები.

დიაგრამა 2.1.



წყარო: www.economy.ge/ (01.06.2019)

თუ 2015 წლის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის აშშ მეცხრე, ხოლო რუსეთი მეორე პოზიციას იკავებდა, უკვე 2016 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით, რუსეთმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა ხოლო, აშშ ათეულში აღარ მოხვდა.[15]

2016 წლის 12 თვის მონაცემებით რუსეთმა პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა, ხოლო აშშ დაბრუნდა ათეულში და მერვე ადგილი დაიკავა. 2016 წელს

[15] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo (04.05.2019)

საქართველოს აშშ-სთან ექსპორტმა 66. 283 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებთან ექსპორტის 3,2 %-ია. აშშ-სთან იმპორტმა 214. 613 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებიდან იმპორტის 2,9 %-ია.[16]

2017 წელს აშშ მერვე ადგილი შეინარჩუნა. 2017 წელს აშშ-სთან საქართველოს ექსპორტმა 121. 627 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტმა 267. 746 მილიონი დოლარი, ხოლო სავაჭრო ბრუნვამ 389.544 მილიონი დოლარი, რაც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის 3,6 %-ია.[17]

გავეცანით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,საქართველოს მნიშვნელოვანი არჩევანია ღია, პარტნიორული და თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყველა სახელმწიფოსთან და სახელმწიფოთა გაერთიანებებთან, განსაკუთრებით ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რეგიონის ქვეყნებთან“. ამასთან, გავეცანით ჩვენი ქვეყნის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - საქართველო 2020, რომელშიც აღნიშნულია რომ აშშ-თან სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიით გათვალისწინებულ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას, მოლაპარაკებების დაწყებას ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის ფარგლებში შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.

რუსეთისგან განსხვავებით, რომლის საზღვრები ჩაკეტილია ქართული პროდუქციისთვის, ხოლო იმპორტი გართულებული, აშშ-თან საქართველო გამარტივებული სავაჭრო სისტემით - ჯი-ეს-პით - სარგებლობს. ეს კი აშშ-ში ათასობით

---

[16] საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 22.01.2018, გვ. 10.
[17] იქვე, გვ. 5.

დასახელების ადგილობრივი პროდუქციის დაბალი საბაჟო განაკვეთებით ან უბაჟოდ ექსპორტირების საშუალებას იძლევა.[18]

მისაღებია მოსაზრება, რომლის თანახმად რეალურად არსებობს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ორი გზა: პირველი, იმპორტის ჩანაცვლება და მეორე, ექსპორტის გაზრდა. ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევაში საქართველოს კარგი პოტენციალი აქვს. ყველაზე კარგი შედეგი, რაც აქედან შეიძლება მივიღოთ ისაა, რომ არა მარტო ევროკავშირი, არამედ აშშ-ც საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად იქცეს.

დსთ-ის ვაჭრობის წესები, რომლებსაც ზოგადად დაკარგული აქვთ მნიშვნელობა, ვეღარ ახდენენ გავლენას საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებზე აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან, უზბეკეთსა და ტაჯიკეთან, რომლებიც სამართლებრივად ჯერ კიდევ დსთ-ის წევრები არიან. რაც შეეხება უკრაინას და თურქმენეთს, მათ არ მოუხდენიათ დსთ-ის წესდების რატიფიცირება და მასზე არც ხელი მოუწერიათ. შესაბამისად, სამართლებრივად, ეს ქვეყნები არ არიან დსთ-ის წევრები. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები უკრაინასა და თურქმენეთთან რეგულირდება ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, რომელიც ძალაში 2003 წლის 10 დეკემბერს შევიდა.[19]

ვერავინ იტყვის, რომ რუსული ბაზარი მიმზიდველი არაა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ის ამავე დროს არის სახიფათო, არამდგრადი და ქმნის ბევრ, განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათის, რისკს. საქართველოს მთავრობის

[18] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo (07.05.2019)

[19] https://guam-organization.org/en/agreement-on-establishment-of-free-trade-area-between-the-guuam-participating-states/. (08.05.2019)

ბოლო წლების მცდელობის შედეგად, მეტ-ნაკლებად მოგვარებულიყო ორმხრივი ურთიერთობები, რუსულ-ქართული სავაჭრო ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის და გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით მიღებული შესაძლებლობის ეფექტიანი და სწრაფი გამოყენებაა, რაც ქვეყნის ბიზნესს ახალი ბაზრების ათვისების საშუალებას მისცემს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელს შეუწყობს ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებას და თანამშრომლობას, აგრეთვე, უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვას და განვითარებას.

2.2. საქართველოსა და აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე გაკეთებულ განცხადებაში ვკითხულობთ, საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატას 20 წელი შეუსრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვიწყებთ მეგობრობის ახალ თავს და იქვე აღნიშნა, რომ მეგობრობის ახალ თავს აშშ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით დაიწყებენ.[20]

მან პრეისტორია გაიხსენა და აღნიშნა, რომ 1991 წელს აშშ-ი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. მას შემდეგ ევროპულ ოჯახსა და ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე გამოწვევებთან ბრძოლაში, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას დამოუკიდებლობის გზაზე, ამერიკელი ხალხი განუხრელადგვერდში გვიდგას.

მან ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი პარტნიორობა და მეგობრობა ბრძოლაში გამოიცადა, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ კაცობრიობის წინაშე მდგარ

[20] მამუკა ბახტაძე - საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატას 20 წელი შეუსრულდა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიწყებთ მეგობრობის ახალ თავს, https://1tv.ge/news, თბ., 17.11.2018.

უდიდეს გამოწვევას, საერთაშორისო ტერორიზმს ქართველი და ამერიკელი მებრძოლები ერაყსა და ავღანეთში ერთად ებრძვიან. პრემიერ მინისტრმა აღნიშნა, რომ მართალია უმთავრესი ადამიანთა შორის ურთიერთობებია, მაგრამ ამ ურთიერთობების კომპონენტი, როგორც ადამიანთა შორის კონტაქტების შემადგენელი ნაწილი, ბიზნესებს შორის ურთიერთობები წარმოადგენს და აღნიშნული ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა, რომელიც ჩვენ ორმხრივ ურთიერთობებში გვაქვს.

მან აღნიშნა, რომ იუბილარი, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა ამერიკის სავაჭრო პალატა, ყოველთვის იყო წარმატების მამოძრავებელი ძალა. 20 წლის თანამშრომლობა ნიშნავს, რომ იწყება მეგობრობის ახალი პერიოდი და გამოთქვა იმედი, რომ ახალიპერიოდი დაიწყება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით. მან გამოხატა თავისი ოპტიმისტური დამოკიდებულება და 2019 წელს უწოდა გარდამტეხი წელი.[21]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის საქმიანობის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო მიღებას დაესწრნენ, ქვეყნის მთავრობის, საკანონმდებლო ორგანოსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ეკონომიკის მინისტრი პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მეთაურობით, ხოლო ამერიკის მხრიდან აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი როსს უილსონი.

ამერიკის სავაჭრო პალატა, რომელმაც 1998 წელს დაიწყო საქართველოში მუშაობა ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ბიზნეს გაერთიანებაა ქვეყანაში და ის უკვე შედგება 200-ზე მეტი კომპანიისგან და წარმატებით ემსახურება ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობების გამყარებას.[22]

---

[21] მამუკა ბახტაძე - საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატას 20 წელი შეუსრულდა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიწყებთ მეგობრობის ახალ თავს, https://1tv.ge/news, თბ., 17.11.2018.
[22] იქვე.

გადავხედოთ ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების პრეისტორიას და განვიხილოთ აშშ-სა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ქრონოლოგიის დაცვით.

ჯერ კიდევ 2008 წელს ამ ორ ქვეყანას შორის მაღალი ხარისხის პოლიტიკური თანამშრომლობა ჩამოყალიბდა, რომლის მიუხედავად, მოკრძალებული იყო აშშ-დან საქართველოში განხორციელებული კერძო ინვესტიციები. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2008 წელს მათი საერთო მოცულობა დაახლოებით 120 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ საქართველოს ტერიტორიაზე ალტერნატიული ენერგოდერეფნების პროექტებს წლების მანძილზე აქტიურად ლობირებდა, მაგრამ ამ სფეროში ცნობილი ამერიკული ინვესტიცია მხოლოდ „ეი-ი-ეს თელასი“ იყო და ისიც მოგვიანებით რუსეთის კომპანიამ შეიძინა.

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევისას გავეცანით ექსპერტ გიორგი ისაკაძის მოსაზრებას საქართველოში ამერიკული ინვესტიციების ნაკლებობის მიზეზების შესახებ. ექსპერტი ჩვენს ქვეყანაში ამერიკული ინვესტიციების ნაკლებობის მიზეზს საქართველოს ეკონომიკის არასტაბილურობაში ხედავს და აღნიშნავს, რომ ძირითადი ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია პოლიტიკაა და შესაბამისად, გარე და შიდა პოლიტიკური რისკები. ჩვენი აზრით, მისაღებია გიორგი ისაკაძის შეფასება, რადგან იმ პერიოდში, მართლაც საქართველოში იყო არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

იგი ვითარებიდან გამოსავალს ხედავდა აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებაში და აღნიშნავდა, რომ ორ ქვეყანას შორის ამგვარი სავაჭრო ურთიერთობის დამყარების ინიციატივა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გაჩნდა, თუმცა იქვე შენიშნავდა, რომ ჯერ ინიციატივა რეალობად არ იყო ქცეული. ბიზნესმენი და ექსპერტი გიორგი ისაკაძე იმ სარგებელზე საუბრობდა, რაც შეიძლება საქართველოს და აშშ-საც ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმმა მოეტანა და აღნიშნავდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ამერიკელ ბიზნესმენებისთვისაც დამატებითი ინტერესია, ვინაიდან

თავისუფალი ვაჭრობა ძალიან ბევრ ფისკალურ და ბიუროკრატიულ ბარიერს აუქმებს და მათ შეეძლებათ რეგიონში საქართველოს დამატებითი წარმოებისთვის გამოყენება.

უკვე შემდეგ წელს 2009 წლის 9 იანვარს, ვაშინგტონში, საქართველოსა და აშშ-ს შორის მოეწერა ხელი სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას, რომლის კომისიის შეხვედრები რეგულარულად იმართება და რომლის რეალიზაციის მიზნით შეიქმნა კომისია, რომელიც ოთხი ორმხრივი სამუშაო ჯგუფისგან შედგება, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობის ჩარჩოს წარმოადგენს. აღნიშნული ჯგუფებია: პირველი ჯგუფი დემოკრატია და მმართველობა; მეორე ჯგუფი თავდაცვა და უსაფრთხოება; მესამე ჯგუფი ეკონომიკა, ვაჭრობა და ენერგეტიკა და მეოთხე ჯგუფი ხალხთაშორისი ურთიერთობები და კულტურული გაცვლები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმავე 2009 წლის ზაფხულში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის თბილისში ვიზიტის წინა დღეებში ბევრს ლაპარაკობდნენ აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებასა და ქარტიაზე, რომელიც საფუძვლად უდევს ამ თანამშრომლობას. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებულ დოკუმენტში ვაჭრობის, ეკონომიკისა და ენერგეტიკის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

განვიხილოთ როგორ ვითარდება აშშ-სა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და რა ცვლილებებია აღნიშნულ ურთიერთობებში ქარტიის გაფორმების შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, 2009 წელს აშშ პოლიტიკაში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ქვეყანა იყო, მაგრამ ეკონომიკის სფეროში ასე არ იყო. ისიც მართალია, რომ ამერიკა საქართველოს მსხვილ სავაჭრო პარტნიორთა ჩამონათვალში კი იყო, მაგრამ მხოლოდ მეხუთე-მეექვსე ადგილზე იმყოფებოდა და მას წინ რუსეთი უსწრებდა.[23]

---

[23] კახა მჭედლიძე, როგორ ვითარდება აშშ-ისა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკა, თბ., 23 ივლისი, 2009.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებისგან განსხვავებული მაჩვენებლები აქვს საქართველოს მიმართ აშშ-ის მიერ განხორციელებულ ფინანსურ დახმარებას, კერძოდ, 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის შემდეგ აშშ-მა საქართველოს 1 მილიარდი დოლარის დახმარება გამოუყო, რომელიც ნაწილ-ნაწილ გადმოსცა, ხოლო საქართველოს მთავრობამ ამ თანხების მიღებული დიდი ნაწილი დევნილთა პრობლემების მოგვარებას, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და ენერგეტიკის განვითარებას მოახმარა.

გავეცანით ფონდ Heritage-ის ექსპერტების არიელ კოენის და ბრაიან რაილის საქართველოსა აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების შეფასებას. ფონდ Heritage-ის ექსპერტების არიელ კოენი და ბრაიან რაილის აზრით, რომელსაც ისინი ფონდის ბლოგზე გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოსცემენ, 2010 წელს საქართველო შტატების 113-ე სავაჭრო პარტნიორი იყო. 2010 წელს საქართველოს იმპორტის დაბეგვრით აშშ-მა სულ 226 ათასი დოლარი მიიღო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შესაბამისად, FTA-ის გაფორმება ფინანსურად აშშ-ს ვერ დააზარალებს. მათი აზრით, სამაგიეროდ, ეს საქართველოსთვის სასარგებლოა, რადგან ქვეყანა ინვესტორებისთვის ბევრად მიმზიდველი გახდება, ამასთან ერთად ეს იქნება რუსეთისათვის სიგნალი, რომ ვაშინგტონი მნიშვნელოვან მეგობრად განიხილავს თბილისს.[24]

საქსტატის 2011 წლის მონაცემებით, აშშ ვაჭრობის მოცულობით საქართველოს მეშვიდე სავაჭრო პარტნიორი გახდა, რასაც ადასტურებს შემდეგი მაჩვენებლები: საქართველოს ექსპორტმა აშშ-ში 143 მილიონი დოლარი შეადგინა, საიდანაც საექსპორტო საქონლის უდიდესი წილი GSP-ის შეღავათებით სარგებლობდა. ძირითადად, ეს იყო ფეროშენადნობები და სასუქები, ღვინოები, ხილის წვენები, ჯართი და ა.შ., ხოლო აშშ-დან საქართველოში 245 მილიონი დოლარის იმპორტი შემოვიდა, ძირითადად წამყვანი ადგილი ავტომანქანებს და ხორცპროდუქტებს ეკავა.[25]

---

[24] არიელ კოენი და ბრაიან რაილი, საქართველო შტატების 113-ე სავაჭრო პარტნიორია, ფონდი Heritage, 2010.

[25] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo (10.05.2019)

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველის, თამარ კოვზირიძის განმარტებით, აღნიშნულ პერიოდში ამერიკული იმპორტისთვის ბარიერები საქართველოში იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ შესაბამისად, აქტუალური არ იყო ის საფრთხეები და შეშფოთება, რაც სხვა სახელმწიფოებში FTA-ის გაფორმებას ჰქონდა, რადგან ქვეყნის ეკონომიკა ამერიკული ექსპორტისთვის ისედაც ღია იყო.

თამარ კოვზირიძის თქმით, რთულია კონკრეტული დარგების გამოყოფა, რომლებისთვისაც შეთანხმების გაფორმება ყველაზე მომგებიანი იქნება, ვინაიდან FTA-თი ნებისმიერმა ბიზნესმა შეიძლება ისარგებლოს და ახალი სავაჭრო შეღავათების წყალობით, შესაძლოა ინვესტორების ისეთი პროდუქციის წარმოებით დაინტერესება, რომელიც აქამდე არ იწარმოებოდა საქართველოში.[26]

კვლევისას დავადგინეთ, რომ აშშ-ის გამოცდილებით, FTA-ზე მოლაპარაკებების დაწყებიდან შეთანხმების რატიფიკაციასა და ძალაში შესვლამდე შუალედი, ძირითადად, ორიდან ოთხ წელს მოიცავს. ისიც დავადგინეთ, რომ ჩილეს შემთხვევაში ეს პროცესი 11 წელი გაგრძელდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ სავაჭრო ტარიფების დაწევა და საბოლოო გაუქმება წლების განმავლობაში ხდება, რისთვისაც შესაძლოა 10-15 წელიც კი იყოს გათვალისწინებული.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ქვეყნები მნიშვნელოვან პარტნიორებთან არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც აფორმებენ. ასე მაგალითად, 2011 წელს აშშ-ს ევროპის ქვეყნებთან და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან, ცენტრალური აზიის ჩათვლით, ასეთი შეთანხმება გაფორმებული არავისთან არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოსთვის ამ ინიციატივას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ეკონომიკისა და ექსპორტის ზრდის, ასევე ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის, იმიჯისა და სტაბილურობის თვალსაზრისით.

[26] ნათია ღვინჯილია, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, ჟურნალი ტაბულა, სამშაბათი, 14 თებერვალი, თბ., 2012.

2011 წელს საქართველოს აშშ-სთან ვაჭრობის ცალმხრივად შეღავათიანი რეჟიმი GSP (Generalized System of Preferences) ჰქონდა, რომელიც ვრცელდებოდა 3 ათასზე მეტი დასახელების ქართულ საექსპორტო პროდუქციაზე.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი ქვეყნის სავაჭრო პარტნიორთა ათეულში მეშვიდე ადგილზე იყო. 2011 წლის მონაცემებით, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 347 მილიონი დოლარი შეადგინა. საქართველოდან ექსპორტზე 122 მილიონი დოლარის პროდუქცია გავიდა, იმპორტმა კი 225 მილიონი დოლარი შეადგინა.[27]

რაც შეეხება ქართულ ღვინოს, „კორპორაცია ქართულმა ღვინომ", რომელიც ადგილობრივ ბაზარზე 2010 წლიდან ოპერირებს, აშშ–ის ბაზარზე პროდუქციის გატანა მხოლოდ ერთხელ, 2010 წელს შეძლო, როდესაც თიხის ქილებში ჩამოსხმული 9 960 ბოთლი ღვინო გაიტანა ამერიკის ბაზარზე. კორპორაციის ფინანსური მენეჯერის ილია ხაჩიძის განმარტებით, დამკვეთი ძალიან კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ექსპორტი იმიტომ გაჩერდა, რომ ეს ერთჯერადი შეკვეთა იყო. მისივე აზრით აშშ–ის ბაზარი ძალიან მიმზიდველია, მაგრამ იმის გამო, რომ იქ მკაცრი შეზღუდვები არსებობს რთულია გრძელვადიანი შეკვეთების მიღება, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბაზარზე პროდუქციის გატანა საკმაოდ ძვირია, მოგება მაინც რჩება.

„კორპორაცია ქართული ღვინის" ფინანსური მენეჯერის ილია ხაჩიძის აზრით, ღვინის კომპანიებს ანალოგიური პრობლემები ექმნებათ და ამიტომ ქართული ღვინო აშშ–ის ბაზარზე საკმაოდ მოკრძალებულად არის წარმოდგენილი.

კომპანია „წყალი მარგებელის" ექსპორტის მენეჯერ ლევან ჩიქოვანის აზრით, მათი კომპანია ამერიკის ბაზარზე 8 წელია მუშაობს და გარკვეულ შედეგებზეც აღწევენ. ექსპორტზე გადის „ნაბეღლავი" და მარნეულის საკონსერვო ქარხნის პროდუქცია.

[27] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo (12.05.2019)

საქართველოსთვის აშშ-ს ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია და კარგი იქნება მოლაპარაკებების შედეგად სავაჭრო ურთიერთობების უფრო გამარტივება.

კორპორაცია ქართული ღვინის ფინანსური მენეჯერის ილია ხაჩიძის მსგავსად ლევან ჩიქოვანიც აღნიშნავს, რომ აშშ–ის ბაზარზე პროდუქციის ხარისხზე მკაცრი მოთხოვნებია, მაგრამ იმის გამო, რომ კომპანია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მუშაობს და ამ კუთხით პრობლემა არა აქვს.

საქსტატის მონაცემების მიხედვით 2011 წელს საქართველოდან გასული საექსპორტო პროდუქციის ათეულში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილები იყო, მეორე ადგილზე – ფეროშენადნობები, მესამე ადგილზე – აზოტოვანი სასუქები, ხოლო შავი ლითონის ჯართმა პირველიდან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ საექსპორტო ათეულში შედის აგრეთვე, ოქრო, სპირტიანი სასმელები, თხილი, სპილენძის მადანი, სპილენძის ჯართი და ფოლადის წნულები.

გასათვალისწინებელია ეკონომიკის სფეროს ექსპერტ გია ხუხაშვილის დამოკიდებულება საქართველოსთვის ამერიკის ბაზრის გახსნის მიმართ. იგი დადებითად არის განწყობილი აღნიშნული მოვლენის მიმართ და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ ბაზარზე გასატანი პროდუქცია არ გვაქვს, რადგან არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყანა მიიყვანა იქამდე, რომ წარმოება დაეცა. მისივე მოსაზრებით ექსპორტში პირველ პოზიციაზეა – მსუბუქი ავტომობილები, ისიც ამერიკული, უკან ხომ არ გავუგზავნით. იმის გამო, რომ ქვეყანაში საექსპორტო პოტენციალი არ არის, ამ დივიდენდის სრულფასოვნად გამოყენება არ ხდება, პრაქტიკულად რაში უნდა გამოვიყენოთ აშშ–თან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების ძალიან კარგი თეორიული შანსი ამას ვერ ვხვდები, აუბრალოდ შეუძლებელია.

კვლევისას დავადგინეთ, რომ GSP რეჟიმი მუდმივმოქმედი არ არის და პერიოდულად გადახედვას ექვემდებარება. მასთან შედარებით, თავისუფალ ვაჭრობას ის უპირატესობა აქვს, რომ თითქმის ყველა დასახელების საქონელს

შეეხება. გარდა ამისა, თავისუფალ ვაჭრობის რეჟიმი მუდმივია, რასაც ინვესტორებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად, მოლაპარაკებების შესაძლებლობა, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2012 წლის 30 იანვარს, ვაშინგტონში ქართველ კოლეგასთან შეხვედრისას დაადასტურა, სადაც მან აღნიშნა, რომ ისინი შეთანხმდნენ მაღალი დონის დიალოგზე ორ ქვეყანას შორის იმის თაობაზე, თუ როგორ გავაძლიეროთ სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის, შესაძლო თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების კუთხით.[28]

უნდა გავიხსენოთ, რომ მოწოდებები აშშ-ს ადმინისტრაციის მიმართ, ამ გადაწყვეტილების მისაღებად, ვაშინგტონში დიდი ხანია ისმოდა, სადაც 2009 წლის მაისში დემოკრატი სენატორი ჯონ კერი და რესპუბლიკელი დევიდ დრაიერი გამოვიდნენ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების ინიციატივით, როდესაც მათ განაცხადეს, რომ საგარეო აგრესიისა და შიდა ამბოხის მცდელობის ფონზე, ქვეყანას დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებაში დახმარება ესაჭიროება, რათა აშშ-მა ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას და ეკონომიკური წინსვლას.

საყურადღებოა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA) ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნასთან ერთად ინვესტიციებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ღონისძიებებსაც ითვალისწინებს. 2012 წელს ასეთი რეჟიმი აშშ-ს 17 ქვეყანასთან ჰქონდა დაწესებული. ორმხრივი შეთანხმებები მიღწეული იყო შემდეგ ქვეყნებთან: ავსტრალია, ბაჰრეინი, ჩილე, ისრაელი, იორდანია, მაროკო, ომანი, პერუ და სინგაპური. ორმხრივი შეთანხმების რეჟიმის გარდა მოქმედებს რეგიონული შეთანხმებები, მაგალითად, აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის – The North American Free Trade Agreement (NAFTA) ასევე აშშ-ს,

[28] ნათია ღვინჯილია, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, ჟურნალი ტაბულა, სამშაბათი, 14 თებერვალი, თბ., 2012.

დომინიკის რესპუბლიკას, სალვადორს, კოსტა-რიკას, გვატემალას, ჰონდურასს და ნიკარაგუას შორის - Dominican Republic-Central America-United States Free Trade Agreement (CAFTA-DR).

როგორც აღვნიშნე 2012 წლის დასაწყისში ქართველ კოლეგასთან შეხვედრისას, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გააკეთა განცხადება საქართველოსა და აშშ-ის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაძლო გაფორმების თაობაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით, საქართველოს ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა ეს ფაქტი უარყვეს და საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ამ თემაზე სპეკულაციაში დაადანაშაულეს. ამავე დროს, მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცებით, აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა დღის წესრიგში დგას და მუდმივად კეთდება განცხადებები მისი მნიშვნელობის შესახებ, ხოლო საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, თავისუფალი ვაჭრობის საკითხი სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში არსებული ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფის ფორმატში შეხვედრებისას მუდმივად განიხილებოდა. დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ 2012 წელს მართალია, მთავრობას აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების საკითხი დღის წესრიგიდან ოფიციალურად არ მოუხსნია, თუმცა, ჯერჯერობით, რაიმე კონკრეტული და ხელშესახები ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა.[29]

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევისას დავადგინეთ, რომ 2012 წელს საქართველოსა და აშშ-ის შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების მაღალი დონის დიალოგის (HLTID) ფორმატი შეიქმნა, რომელიც ორიენტირებული იყო აღნიშნულ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გაღრმავებასა და ინვესტიციის მოზიდვის საშუალებებზე. აღნიშნული დიალოგის ბოლო შეხვედრა 2015 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელ მაიკლ ფრომანს შორის განხორციელდა, რომელ შეხვედრაზეც

[29] ნათია ღვინჯილია, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, ჟურნალი ტაბულა, სამშაბათი, 14 თებერვალი, თბ., 2012.

ორმხრივი ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის საკითხებთან ერთად განიხილეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობაც.

2015 წლის 30 ოქტომბრის შეხვედრამდე ექვსი თვით ადრე, 2015 წლის 4 მაისს ვაშინგტონში გაიმართა აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა, რომელსაც ქართული მხრიდან თანათავმჯდომარეობდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით დონდუა, ხოლო აშშ-ის მხრიდან სხდომის თანათავმჯდომარეები იყვნენ აშშ-ს კომერციის მდივნის თანაშემწის აღმასრულებელი მოადგილე ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის საკითხებში მაიკლ ლალი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პირველი მოადგილე ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებში კურტ ტონგი და აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის თანაშემწის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯონათან კატცი.

საინტერესოა, რომ სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე აშშ-ის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმების იმპლემენტაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის შესახებ, და ამ პროცესში სრული მხარდაჭერაც აღუთქვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე აშშ-სა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხაზგასმით ისაუბრეს იმ პროგრესის შესახებ, რომელსაც მხარეებმა მიაღწიეს სავაჭრო საკითხებზე საექსპერტო დონეზე მოლაპარაკებებში და სამომავლოდ შეთანხმდნენ, რომ განაგრძობენ სხვადასხვა საშუალებებით ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციის გაძლიერებას და მიაღწევდნენ მომავალში ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას. ამ მიმართულებით, ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს

ვაშინგტონში 2015 წლის 29 ივნისს აშშ-სა და საქართველოს შორის დაგეგმილი მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგი. მათ ასევე დადებითად შეაფასეს 2015 წლის მარტში აშშ-ს სავაჭრო მისიის წარმატებული ვიზიტი, რომელიც განხორციელებულდა საქართველოში და ისიც აღნიშნეს, რომ მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგის პარალელურად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული სავაჭრო მისიის ჩატარებას.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე აშშ-ის მხარემ ხაზგასმით დააფიქსირა საქართველოს მზარდი ეკონომიკური როლის, როგორც სავაჭრო, ბიზნეს და ლოჯისტიკური ჰაბის, მიმართ მტკიცე მხარდაჭერა. შეხვედრაზე აშშ-ის მხარემ ასევე აღნიშნა საქართველოს მიერ გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევა რეგიონში „აბრეშუმის გზის" განახლების საკითხებში, რომელიც სამხრეთ კავკასიის საშუალებით ევროპისა და აზიის ბაზრებს ერთმანეთთან აკავშირებს. ორივე ქვეყნის მხარემ ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ამასთან ერთად აშშ-ის მხარემ საქართველოს აღუთქვა 2015 წლის ოქტომბერში დაგეგმილი „აბრეშუმის გზის" ფორუმში მონაწილეობა და მხარდაჭერა.

ჩვენი მხრიდან უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად მიაჩნიათ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება, რომელიც განსაზღვრულია ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით, რომელიც შედგენილია ოთხი მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც უსაფრთხოებასა და თავდაცვას; ეკონომიკას, ვაჭრობასა და ენერგეტიკას; დემოკრატიულ მმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებას; ხალხთაშორის და კულტურულ კონტაქტებს მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ასევე აშშ-სთან „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" (MCC) ფარგლებში აგრძელებს წარმატებულ თანამშრომლობას. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ მხრივ,

როგორც მთავრობათაშორისი, ისე ბიზნესწრეებს შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად მუდმივად ხდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოსთვის პრიორიტეტული რომ არის აშშ-ის კონგრესთან და მასში წარმოდგენილ ორივე პოლიტიკურ პარტიასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება, ეს საქართველოში აშშ-ის კონგრესის დელეგაციების ასევე უმაღლესი და მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტების სიხშირიდანაც ჩანს, რაც იწვევს ურთიერთგაცვლის პოზიტიური დინამიკის ზრდას.

ჩვენი ქვეყნის მთავრობის მხრიდან ყოველწლიურად გადაიდგმება ნაბიჯები, აშშ-ის საზოგადოების ყველა სეგმენტთან, მათ შორის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მასმედიასთან, საგანმანათლებლო და სამეცნიერო, დაწესებულებებთან, კვლევით ცენტრებთან, კულტურულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს მხარდამჭერ ჯგუფებთან, აშშ-ში ქართულ დიასპორასთან, ახალგაზრდულ გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით. მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებებში, საქართველოსა და რუსეთს შორის აშშ-ის აქტიური ჩართულობის შენარჩუნებას და ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივ ფორმატებში არსებული ტრადიციული წარმატებული თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

2016 წლის 12 აპრილს გაიმართა ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, რომელიც საქართველო - აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებს და მათ შორის ორმხრივ და რეგიონულ საინვესტიციო პროექტებს შეეხო. სამუშაო ჯგუფების შეხვედრაზე სამომავლოდ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხების შესაძლო გაფორმების თემაც ფიგურირებდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აშშ-თან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების თემა მაღალი დონის დიალოგებში მუდმივად ფიგურირებდა, 2016 წლისთვის კონკრეტულად ამ საკითხზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა და შესაბამისი შეთანხმების გაფორმების თაობაზე რეალური მოლაპარაკებებიც არ დაწყებულა.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას, სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში არსებული ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფის ფორმატში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საკითხების განხილვა არა განცალკევებულად, არამედ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა ეკონომიკურ საკითხებთან ერთად მოხდა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის მხრიდან კომისიისა და ჯგუფების საქმიანობას სახელმწიფო დეპარტამენტი და არა სავაჭრო წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ვაჭრობის საკითხი სამუშაო ჯგუფის ყველა შეხვედრაზე განიხილება.

2017 წლის 18 ოქტომბერს თბილისში აშშ-ის საელჩოს, აშშ-ის კომერციის დეპარტამენტისა და ქართულ-ამერიკული ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით ამერიკის სავაჭრო მისია გაიმართა, რომლის ფარგლებში 12 ამერიკული კომპანია საქართველოში საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

კომპანიებმა, რომლებიც სამშენებლო, ლოგისტიკის, საკომუნიკაციო და ტექნოლოგიების სექტორში მუშაობენ, 100-ზე მეტი ბიზნეს შეხვედრა გამართეს. შეხვედრების მიზანი იყო საქართველოში ვაჭრობის გაძლიერების, სამომავლო ინვესტირებისა და ამერიკელ და ქართველ ხალხს შორის ურთიერთობის გაღრმავება. ამერიკის სავაჭრო მისიის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის პრემიერ მინისტრ, გიორგი კვირიკაშვილთან და ეკონომიკის მინისტრ გიორგი გახარიასთან. ამერიკის სავაჭრო მისია საქართველოს მთავრობას საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, საქართველოს ბიზნეს გარემოს მაღალი რეიტინგი და საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ახალ აბრეშუმის გზაზე. ამერიკის სავაჭრო მისიაში მონაწილეობდნენ შემდეგი: Acrow Bridge, Baron Weather, Bechtel, Budget, Coca-Cola, Lockheed Martin, Miyamoto International, MWH, Nova Power, Obie Technologies, The Greenbrier, and VISA.

სამაგისტრო ნაშრომის თემის კვლევისას გავეცანით ალექსანდრე რონდელის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ვალერი ჩეჩელაშვილის საინტერესო მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართულობის სტაბილური და განვითარებადი ხასიათი ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პროგრესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. განვითარებული ქვეყნების სავაჭრო ბრუნვის მოცულობა ან ძალიან ახლოს დგას მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობასთან ან აჭარბებს მას, რაც იმას ნიშნავს რომ მათი ეროვნული პროდუქციის ნახევარზე მეტი უცხოური ბაზრებისთვისაა განკუთვნილი.[30]

უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო მეტადაა დამოკიდებული გარე ბაზრებზე, ვინიდან მით უფრო შეზღუდულია მისი შიდა მოხმარება და, შესაბამისად, ბაზრის ზომაც. ამგვარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ, გარე ბაზრებზე დამოკიდებულება აუცილებლად იზრდება, რაც ობიექტური რეალობაა, რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელია, საპირისპირო სიტუაციაში ქვეყანა განწირულია იზოლაციისათვის. ამიტომ ქვეყნის სწრაფი ზრდისთვის აუცილებლად უნდა მოხდეს აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპირატესობაა შედარებით სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო. ამჟამად ყველაზე უფრო მოწყვლადი მაკროეკონომიკური კომპონენტი შთამბეჭდავი სავაჭრო დეფიციტია. მას აქვს თავისი ობიექტური ხასიათი, საკუთარი ისტორიული წინაპირობები და ეკონომიკური მიზეზები, რომლებიც საკმარისად მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ ცალკე იყოს შესწავლილი. რეალობა ისაა, რომ საქართველოს სავაჭრო ბალანსი ამჟღავნებს მდგრად დეფიციტს, რომელიც კომპენსირდება რამდენიმე კომპონენტით (მაგალითად, მომსახურება, ტრანზიტი, ტურიზმი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები), რასაც მივყავართ მეტ-ნაკლებად სტაბილური

---

[30] ვალერი ჩეჩელაშვილი, არის თუ არა საქართველოს ეკონომიკა მდგრადი, თბ., 2017.

საგადასახდელო ბალანსისაკენ. განგრძობადი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ქართული ეკონომიკის მთავარი გამოწვევაა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სავაჭრო დეფიციტის ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვასთან მიმართებაში დაახლოებით 50%-ის გარშემო მერყეობს.[31]

რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტის საკითხს, ამ მხრივ 2017 წელს გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნებოდა, რაც ძირითადად ექსპორტის შთამბეჭდავი ზრდის დამსახურებაა. საქართველო ამ პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნებას თუ შეძლებს და შეამცირებს სავაჭრო დეფიციტს სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 25-30%-მდე, მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობა გარანტირებული იქნება ყველა თანმდევი შედეგით, მათ შორის, ეროვნული ვალუტის, ლარის კურსის სტაბილურობით.[32]

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის სერგი კაპანაძის განმარტებით, აშშ–სთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკების მიზნით 2009 წელს სამუშაო ჯგუფი შეიქმნა და შესაბამისი გეგმაც შემუშავდა, რომლის დროსაც საქართველოსთან მიმართებაში, გაჩნდა გარკვეული ბარიერები და მოთხოვნები, რომელთა გამოსასწორებლად გარკვეული რეფორმები იყო გასატარებელი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის სერგი კაპანაძის ინფორმაციით, ვაშინგტონში ორი მაღალი დონის მოლაპარაკება გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების საკითხებზე.

აშშ–ის სავაჭრო სამრეწველო პალატის ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ვოლთონმა ორი ქვეყნის შესახებ საუბრისას, დადებითად შეაფასა აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამერიკის ბაზარზე შესვლა. მისივე აზრით, თუ შევადარებთ საქართველოსა და აშშ-ის ეკონომიკას და მოსახლეობას

---

[31] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo (20.05.2019)

[32] იქვე.

ვნახავთ, რომ ეს შეთანხმება ეკონომიკური თვალსაზრისით რაიმე სარგებელს ამერიკას ნაკლებად მოუტანს. იგი აღნიშნავს, რომ ეს არის აშშ–ის რწმენის გამოძახილი იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმება დადებითი იქნება საქართველოსთვის და სამომავლოდ ამ ორივე ქვეყნის ურთიერთობებისთვის“.

აშშ–სთან თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა თავისუფალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი გია ჯანდიერი თუმცა აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აშშ არის საკმაოდ დიდი, მიმზიდველი, მდიდარი და მნიშვნელოვანი ბაზარი, საქართველოს მთავრობამ მოლაპარაკების დროს სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რადგან ხელშეკრულებაში ჩვენთვის საზიანო მუხლები არ ჩაიდოს და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შეზღუდვა არ მოხდეს.

როგორც გია ჯანდიერმა აღნიშნა, აშშ-ის ბაზარზე შესვლის უფლების მიღება მარტივი არ არის. ამასთან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე შესვლა საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ რიგი შეზღუდვებიც არსებობს. გია ჯანდიერმა გააკრიტიკა საქართველოს შრომის კანონმდებლობა და აღნიშნა, რომ ის დაქირავებულზე არ არის მორგებული. თუ მოხდა აშშ-ის ბაზარზე შესვლაზე შეთანხმება, პირობის შესრულებას მოგვთხოვენ და არსებობს საფრთხე, რომ დამქირავებელ ბიზნესებს აღარ ექნებათ აშშ–ის ბაზარზე შესვლის სურვილი.

გია ჯანდიერმა განიხილა ევროკავშირის ბაზარზე შესვლის საფრთხეებიც და აღნიშნა, რომ ევროკავშირი ამ მიმართულებით საკმაოდ მკაცრ დირექტივებს აყენებს, რის გამოც ამ ბაზარზე შესასვლელად ქართულმა პროდუქტმა შესაბამისი ლაბორატორიული შემოწმება უნდა გაიაროს. მისივე თქმით, ასეთი ძვირადღირებული და მაღალი სტანდარტის ლაბორატორიები ჩვენ ქვეყანას ჯერ არა აქვს. როგორც ევროკავშირი ითხოვს ამ მიზნისთვის შექმნილი ლაბორატორიები საქართველოს მთავრობამ უნდა დააფინანსოს. მისი აზრით აშშ-ც ამ მოთხოვნას დააყენებს. გია ჯანდიერმა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან იმაში დაინახა, რომ თუ ევროკავშირს და აშშ-ს სურთ მათ ბაზარზე უსაფრთხო ქართული პროდუქტის შესვლა, ეს რეფორმაც უნდა დააფინანსონ.

მორიგი ღონისძიება აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, აშშ-ის კონგრესმენების მიერ 2018 წლის 26 ივნისს აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მოწოდებით, აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის, რობერტ ლაითჰაიზერისდმი გაგზავნილი ორპარტიული წერილია. მოთხოვნის ინიციატორები იყვნენ აშშ-ის კონგრესის დემოკრატიული პარტნიორობის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი ილინოისის შტატიდან კონგრესმენი პიტერ როსკამი და თანათავმჯდომარე, დემოკრატი ჩრდილოეთ კაროლინის შტატიდან კონგრესმენი დევიდ პრაისი. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მოთხოვნის წერილს ხელი მოაწერა 30 რესპუბლიკელიმა და დემოკრატმა კონგრესმენმა.

კონგრესმენებმა რობერტ ლაითჰაიზერს მიმართეს მოწოდებით, რომ ვინაიდან ისინი აშშ-სა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების ძლიერი მხარდამჭერნი არიან, საქართველოსთან ორმხრივი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების დაწყება აქტიურად განეხილათ.

წერილში ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს საკვანძო მდებარეობის შესახებ ირანს, თურქეთსა და რუსეთს შორის. კონგრესმენებმა აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლს აუხსნეს, რომ საქართველო წარმოადგენს ცენტრალური აზიის რვა, ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოს კარიბჭეს, რაც ჯამში 120 მილიონ მოსახლეობასა და 300 მილიარდი აშშ დოლარის ეკონომიკას მოიცავს და, რომ საქართველოზე ასევე გადის აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ალტერნატიული ენერგომომარაგების მარშრუტი.

კონგრესმენებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით ინვესტირებისათვის ხელსაყრელ გარემოს შემქმნელ საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს აშშ-სა და საქართველოს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას, გააძლიერებს მშვიდობას, სტაბილურობასა და ეკონომიკურ განვითარებას რეგიონში, მეორეს

მხრივ, საქართველოში ამერიკული კომპანიებისათვის შეიქმნება ინვესტირების მეტი შესაძლებლობები და რეგიონი გახდება უფრო უსაფრთხო.

კონგრესმენებმა მიიჩნიეს, რომ რეგიონზე რუსეთის მიერ ეკონომიკური და სავაჭრო სახის დესტრუქციული ქმედებების გზით წარმოებული აგრესიით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ზეწოლის პირობებში, არასდროს ყოფილა ასე ღირებული აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო შეთანხმების გაფორმება. მით უმეტეს ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ ევროპიდან და ევროპის მიმართულებით ენერგორესურსების ტრანზიტის სფეროში საქართველოს როლს.

კონგრესმენებმა წერილში ხაზგასმით აღნიშნეს აშშ-სა და საქართველოს მნიშვნელოვანი მოკავშირეობის და სტრატეგიული პარტნიორობის მიზნით, საქართველოს მიერ ბოლო ორ ათწლეულში, მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების სფეროში მიღწეული შთამბეჭდავი პროგრესის შესახებ, აგრეთვე ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ და განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს წამყვანი როლის შესახებ.

მორიგი ღონისძიება საქართველო-აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე აშშ-ში ორი ქვეყნის წარმომადგენლების შეხვედრა იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2018 წლის 30 ნოემბერს, როდესაც ბუენოს აირესში არგენტინის პრეზიდენტი მაურისიო მაკრი განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნების მეთაურებს მასპინძლობდა დიდი ოცეულის სამიტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ საქართველო-აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე აშშ-ში შეხვედრები გამართა. [33]

---

[33] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე საქართველო-აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე აშშ-ში შეხვედრებს მართავს, თბ., 30.11.2018

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებში შეხვდა აშშ-ს წარმომადგენელთა პალატისა და სენატის სხვადასხვა კომიტეტების მრჩევლებს, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის თანაშემწეს, ეკონომიკური პოლიტიკის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის და შრომის საკითხებში აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენლის (USTR) თანაშემწეებს.

გავეცანით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციას, რომელშიც აღნიშნულია, რომ შეხვედრების ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დიალოგის დაწყების შესაძლებლობაზე გაამახვილა ყურადღება და ხაზი გაუსვა აშშ-სა და საქართველოს შორის ვაჭრობის გაფართოების აუცილებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენელთა პალატასა და სენატში გამართულ შეხვედრებზე გენადი არველაძემ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პროცესში საკანონმდებლო ხელისუფლების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რაც დეტალურად იქნა განხილული აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის ოფისში გამართულ შეხვედრაზე.

ეკონომიკური განვითარების მიმართულებით სააგენტოს პროექტები და პროგრამების მნიშვნელობა განიხილეს USAID-ში გამართული დისკუსიის დროს, რომლის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა USAID – ის სამომავლო სტრატეგია და გზამკვლევი, რომელსაც მომავალ წლებში აღნიშნული სააგენტო საქართველოში ეკონომიკური განვითარების მიმართულებით სხვადასხვა სფეროში განახორციელებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე 29 ნოემბერს მოხსენებით გამოვიდა ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ყოველწლიურ კონფერენციაზე და დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა, სადაც ყურადღება გაამახვილა აშშ-საქართველოს ეკონომიკური და კომერციული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აღნიშნული მიმართულების გაღრმავების მიზანშეწონილობაზე.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე შეხვდა ვაჭრობის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს, აგრეთვე საერთაშორისო საკითხებში აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საფინანსო კომიტეტის დირექტორს.

რუსეთისგან განსხვავებით, რომლის საზღვრები ჩაკეტილია ქართული პროდუქციისთვის, ხოლო იმპორტი გართულებული, აშშ-თან საქართველო გამარტივებული სავაჭრო სისტემით - ჯი-ეს-პით - სარგებლობს. ეს კი აშშ-ში ათასობით დასახელების ადგილობრივი პროდუქციის დაბალი საბაჟო განაკვეთებით ან უბაჟოდ ექსპორტირების საშუალებას იძლევა. ბიზნესმენთა ასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელის, ახლა კი მოქმედი ბიზნესმენის, გიორგი ისაკაძის აზრით, ბიზნესმენებს მწყობრი წარმოდგენა არ გააჩნიათ არსებული პრეფერენციების შესახებ.[34]

ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთ ძირითად პრინციპს. საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია. მსოფლიო ორგანიზაციის წევრ 162 ქვეყნას შორის სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება MFN რეჟიმის საფუძველზე, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს პრეფერენციების განზოგადებული სისტემა GSP, რომლის ძირითადი არსი ბენეფიციარი ქვეყნებიდან საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესებაა, რაც

[34] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo (21.05.2019)

განვითარებადი ქვეყნების საქონლის განვითარებული ქვეყნის ბაზარზე შეღწევას აადვილებს. საქართველო შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარია: ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცრია და ნორვეგია.[35]

აღსანიშნავია, რომ აშშ-მა GSP-ის გამოყენება 1974 წლის სავაჭრო აქტის მეხუთე განყოფილების საფუძველზე, 1976 წლიდან დაიწყო, რომელშიც შემდგომ რამდენიმეჯერ იქნა შეტანილი ცვლილება. 2013 წლის ივლისში სქემა გაფართოვდა და 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედებდა. (US generalized system of preferences guidebook, Office of the United States Trade Representative Executive Office of the President Washington, D.C. July, 2015.)

GSP რეჟიმით 2013 წელს აშშ-ის იმპორტმა 19,9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის საქართველოს წილი 124 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც GSP ბენეფიციარ ქვეყნების იმპორტის 6 %-ს შეადგენს, ხოლო აშშ-ს მთლიანი იმპორტის 1%-ია. (Available from http://www.usitc.gov/tata/hts/bychapter/index.htm.) (22.05.2019)

რომელიმე ქვეყნისთვის პრეფერენციების მინიჭებისას აშშ ეკონომიკურ კრიტერიუმებთან ერთად გარკვეულ პოლიტიკურ მიდგომებსაც ითვალისწინებს. (Available from http://ictplgeorgia.ge/cgi-sys/suspendedpage.cgi.) (22.05.2019)

აშშ-ის პრეზიდენტს კანონის ნაწილი 502 (ბ) (1) რომელიმე ქვეყანა GSP-ის ბენეფიციარად განსაზღვრას უკრძალავს, სანამ გარკვეულ კრიტერიუმებთან ამ ქვეყნის შესაბამისობა არ დადგინდება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პრეფერენციული რეჟიმი საქართველოს საექსპორტოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების საკმაოდ ფართო სპექტრზე ვრცელდება, მათ შორის, კაკალზე, ხილის ჩირზე, ვაშლზე, ატამზე, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებით მიღებულ პროდუქციაზე, მწვანე ჩაიზე, სანებლებზე, დაფნაზე, ყველზე, ცხოველების და ქათმისგან დამზადებულ პროდუქციაზე,

[35] საქართველოს ეკონომიკისადა მდგრადი განვითარების სამინისტრო, www.economy.ge.

მინერალურ წყლებზე, ლუდზე, ღვინოზე, სპირტიან სასმელებზე, ეთერზეთებზე, ტყავზე და ტყავის პროდუქციაზე, სპილენძის და ტყვიის მადნებზე, მანგანუმზე და მისი გადამუშავებით მიღებულ პროდუქციაზე, მათ შორის სილიკონმანგანუმზე, ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, და ქარსის ანალოგიური მასალების ნაწარმზე, კერამიკულ და მინის ნაწარმზე და სხვა.[36]

დასკვნის სახით კონგრესმენებმა დაწერეს, რომ ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება კიდევ უფრო განამტკიცებს ორ ქვეყანას შორის არსებულ ღრმა კავშირებს და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების ეკონომიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოუწოდეს აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელს, დაეწყო ორმხრივი მოლაპარაკებები საქართველოსთან სავაჭრო შეთანხმების გასაფორმებლად.[37]

ქართველი ხელმძღვანელი პირების და ექსპერტების შეხედულებების შეჯამებით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ისინი ერთსულოვნად ეთანხმებიან აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებას და მიაჩნიათ რომ ორ ქვეყანას შორის ამგვარი სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ორივე ქვეყანას მოუტანს სარგებელს, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ამერიკელი ბიზნესმენებისთვისაც დამატებითი ინტერესია, თავისუფალი ვაჭრობით ძალიან ბევრი ფისკალური და ბიუროკრატიული ბარიერის გაუქმებით მათ შეეძლებათ რეგიონში საქართველოს დამატებითი წარმოებისთვის გამოყენება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველის, თამარ კოვზირიძის განმარტებით, FTA-თი ნებისმიერმა ბიზნესმა შეიძლება ისარგებლოს და ახალი

---

[36] მარინე თავართქილაძე, ნაციონალური სავაჭრო რეჟიმები და GSP/GSP+ სქემის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები, თბ., 2016, გვ. 96.
[37] აშშ-ის კონგრესმენები მოუწოდებენ აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელს, ორმხრივი სავაჭრო შეთანხმების გასაფორმებლად საქართველოსთან დაიწყოს მოლაპარაკებები , 27 ივნისი, 2018.

სავაჭრო შეღავათების წყალობით, შესაძლოა ინვესტორების ისეთი პროდუქციის წარმოებით დაინტერესება, რომელიც აქამდე არ იწარმოებოდა საქართველოში.[38]

ნაშრომის თემის დამუშავების დროს შესწავლილი მასალის გაანალიზების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის, დამოკიდებულება გარე ბაზრებზე მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ობიექტური რეალობაა, რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელია. ქვეყნის სწრაფი ზრდისთვის აუცილებლად უნდა მოხდეს აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამჟამად ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მოწყვლადი მაკროეკონომიკური კომპონენტი შთამბეჭდავი სავაჭრო დეფიციტია. რეალობა ისაა, რომ საქართველოს სავაჭრო ბალანსი ამჟღავნებს მდგრად დეფიციტს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სავაჭრო დეფიციტის ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვასთან მიმართებაში დაახლოებით 50%-ის გარშემო მერყეობს.

რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტის საკითხს, ამ მხრივ 2017 წელს გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნებოდა, რაც ძირითადად ექსპორტის შთამბეჭდავი ზრდის დამსახურებაა. დადებით შედეგს მივიღებთ თუ საქართველო შეძლებს ამ პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნებას და სავაჭრო დეფიციტს სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 25-30%-მდე შეამცირებს.

[38] ნათია ღვინჯილია, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, ჟურნალი ტაბულა, სამშაბათი, 14 თებერვალი, თბ., 2012.

დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დასაწყისში მიზნად იქნა დასახული აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობების შესწავლა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ამოცანად დასახული იქნა შემდეგი საკითხების შეწავლა:

- ვაჭრობის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში;
- აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების დახასიათება;
- საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობები;
- საქართველოს აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები.

შეიძლება დასაბუთებული დასკვნის გაკეთება რომ ოცდამეერთე საუკუნეში თითქმის ყველა ქვეყანაა ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში და ვერც ერთი

მათგანი ვერ შეძლებს საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი ქვეყნის მოსახლეობა. ამიტომ ყველა ქვეყანას სჭირდება გარკვეული პროდუქციის როგორც იმპორტირება ისე ექსპორტი და მით უფრო დიდი ნაწილი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში რაც უფრო დიდია ქვეყანა.

შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მას შემდეგ, რაც 2001 წელს იაპონია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა გაიზარდა აშშ-სა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობები განსაკუთრებით გაიზარდა კომპიუტერებისა და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქციის იმპორტი, ხოლო ზოგიერთი სამომხმარებლო ელექტრო პროდუქტის, როგორიცაა ტელევიზორი, იმპორტირებული მოდელების გაყიდვებმა ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის გაყიდვებს გადააჭარბა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის და გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით მიღებული შესაძლებლობის ეფექტიანი და სწრაფი გამოყენებაა, რაც ქვეყნის ბიზნესს ახალი ბაზრების ათვისების საშუალებას მისცემს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელს შეუწყობს ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებას და თანამშრომლობას, აგრეთვე, უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვას და განვითარებას.

ვეთანხმებით კონგრესმენების მოსაზრებას, რომ ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება კიდევ უფრო განამტკიცებს ორ ქვეყანას შორის არსებულ ღრმა კავშირებს დაამერიკა-საქართველოს ურთიერთობების ეკონომიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოუწოდეს აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელს, დაეწყო ორმხრივი მოლაპარაკებები საქართველოსთან სავაჭრო შეთანხმების გასაფორმებლად.

ქართველი ექსპერტების შეხედულებების შეჯამებით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ისინი ერთსულოვნად ეთანხმებიან აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებას და მიაჩნიათ რომ ორ ქვეყანას შორის

ამგვარი სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ორივე ქვეყანას მოუტანს სარგებელს, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ამერიკელი ბიზნესმენებისთვისაც დამატებითი ინტერესია, თავისუფალი ვაჭრობით ძალიან ბევრი ფისკალური და ბიუროკრატიული ბარიერის გაუქმებით მათ შეეძლებათ რეგიონში საქართველოს დამატებითი წარმოებისთვის გამოყენება.

თუ 2015 წლის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის აშშ მეცხრე, ხოლო რუსეთი მეორე პოზიციას იკავებდა, უკვე 2016 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით, რუსეთმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა ხოლო, აშშ ათეულში აღარ მოხვდა.

2016 წლის 12 თვის მონაცემებით რუსეთმა პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა, ხოლო აშშ დაბრუნდა ათეულში და მერვე ადგილი დაიკავა. 2016 წელს საქართველოს აშშ-სთან ექსპორტმა 66. 283 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებთან ექსპორტის 3,2 %-ია. აშშ-სთან იმპორტმა 214. 613 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებიდან იმპორტის 2,9 %-ია.

2017 წელს აშშ მერვე ადგილი შეინარჩუნა. 2017 წელს აშშ-სთან საქართველოს ექსპორტმა 121. 627 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტმა 267. 746 მილიონი დოლარი, ხოლო სავაჭრო ბრუნვამ 389.544 მილიონი დოლარი, რაც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის 3,6 %-ია.

ნაშრომის თემის დამუშავების დროს შესწავლილი მასალის გაანალიზების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის, დამოკიდებულება გარე ბაზრებზე მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ობიექტური რეალობაა, რომლის უგულებელყოფაც შეუძლებელია. ქვეყნის სწრაფი ზრდისთვის აუცილებლად უნდა მოხდეს აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამჟამად ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მოწყვლადი მაკროეკონომიკური კომპონენტი შთამბეჭდავი სავაჭრო დეფიციტია. რეალობა ისაა, რომ საქართველოს სავაჭრო ბალანსი ამჟღავნებს მდგრად

დეფიციტს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სავაჭრო დეფიციტის ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვასთან მიმართებაში დაახლოებით 50%-ის გარშემო მერყეობს.

რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტის საკითხს, ამ მხრივ 2017 წელს გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნებოდა, რაც ძირითადად ექსპორტის შთამბეჭდავი ზრდის დამსახურებაა. დადებით შედეგს მივიღებთ თუ საქართველო შეძლებს ამ პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნებას და სავაჭრო დეფიციტს სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 25-30%-მდე შეამცირებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აშშ სავაჭრო ურთიერთობები იაპონიასთან, ანალიტიკა, 30 მაისი, 2018.
2. აშშ-ის კონგრესმენები მოუწოდებენ აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელს, ორმხრივი სავაჭრო შეთანხმების გასაფორმებლად საქართველოსთან დაიწყოს მოლაპარაკებები, 27 ივნისი, 2018.
3. მამუკა ბახტაძე - საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატას 20 წელი შეუსრულდა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიწყებთ მეგობრობის ახალ თავს, https://1tv.ge/news, თბ., 17.11.2018.

4. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე საქართველო-აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე აშშ-ში შეხვედრებს მართავს, თბ., 30.11.2018.
5. არიელ კოენი და ბრაიან რაილი, საქართველო შტატების 113-ე სავაჭრო პარტნიორია, ფონდი Heritage, 2010.
6. კახა მჭედლიძე, როგორ ვითარდება აშშ-ისა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკა, თბ., 23 ივლისი, 2009.
7. ნინო ჟვანია, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბ., 2010. www.nplg.gov.ge/.../library.exe (25.05.2019)
8. გვანცა ფოცხვერია, აშშ-მა, კანადამ და მექსიკამ ახალი სავაჭრო შეთანხმება გააფორმეს, https://1tv.ge, თბ., 01.12.2018.
9. ნათია ღვინჯილია, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, ჟურნალი ტაბულა, სამშაბათი, 14 თებერვალი, თბ., 2012.
10. ვალერი ჩეჩელაშვილი, არის თუ არა საქართველოს ეკონომიკა მდგრადი, თბ., 2017.
11. ქეთი ჩოხელი, დონალდ ტრამპმა და ემანუელ მაკრონმა სატელეფონო საუბრისას სავაჭრო ურთიერთობები და აშშ-ჩრდილოეთ კორეის სამიტი განიხილეს, Fox News, თბ., 16.06.2018.
12. მიხეილ ხაჩიძე, აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა, Fox News, თბ., 13 მაისი, 2019.
13. გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015.
14. მარინე თავართქილაძე, ნაციონალური სავაჭრო რეჟიმები და GSP/GSP+ სქემის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები, თბ., 2016.
15. ვ.პაპავა, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2015.
16. ი. მესხია, საერთაშორისო ვაჭრობა, თბ., 2012.
17. ნ. ხადური, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტურიანობის ანალიზი და პერსპექტივები, თბ., 2010.
18. თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბ., 2010.

19. US generalized system of preferences guidebook, Office of the United States Trade Representative Executive Office of the President Washington, D.C. July, 2015.

Available from http://www.usitc.gov/tata/hts/bychapter/index.htm. (24.05.2019)

Available from http://ictplgeorgia.ge/cgi-sys/suspendedpage.cgi. (25.05.2019)

www.economy.ge. (25.05.2019)

http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo. (26.05.2019)

http://reginfo.ge/economic/item/3540-saqartvelodan-gvinis-eqsporti-59-%E2%80%93it-gaizarda,-chachis-198-%E2%80%93it). (26.05.2019)

https://guam-organization.org/en/agreement-on-establishment-of-free-trade-area-between-the-guuam-participating-states/. (26.05.2019)

mfa.gov.ge/News/ashsh-is-kongresmenebi-moucodeben-ashsh-is-savachr.aspx?CatID (26.05.2019)